საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 97 (2013) | შაბათი, 5 აგვისტო, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღის წესრიგშია პურპროდუქტების კორპორაციის რეორგანიზაცია

3 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ე. შევარდნაძესთან გაიმართა თათბირი პურპროდუქტების კორპორაციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საუბარი შეეხო კორპორაციის აქციონერების საკითხს. კორპორაციის თავმჯდომარის ანზორ ბურჯანაძის ინფორმაციით, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება პურპროდუქტების კორპორაციის ეტაპობრივი პრივატიზაციის შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული სირთულეები. კვლავ უცვლელი რჩება სავალუტო ფონდის მოთხოვნა პურზე ფასების სრული ლიბერალიზაციის შესახებ.

სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება მიაპყრო პურპროდუქტების კორპორაციის დამოკიდებულების განსაზღვრას პრივატიზებულ პურის ქარხნებთან. როგორც ბატონმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, თავიდან უნდა იქნეს აცილებული გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შემცირება კორპორაციის აქციონერების შემდეგ. მან მოუწოდა კორპორაციის ხელმძღვანელობას, გამოიჩინოს ინიციატივა და თავად გამოძებნოს რესპუბლიკაში ხორბლის შემოტანის გზები. სახელმწიფო კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი საწარმოების ჩამოყალიბებას, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ სახელმწიფო პურის ქარხნებს.

თათბირის მონაწილეთა აზრი ერთსულოვანი იყო — პურპროდუქტების კორპორაციის არსებული სიმძლავრეები შენარჩუნებულ უნდა იქნეს. თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ვიცე-პრემიერები თემურ ბასილია და ბაკურ გულუა, სხვა ოფიციალური პირები.

სახელმწიფო მეთაურის პრესსამდივნო.

პარლამენტი

პირველი შეღავათი

3 აგვისტოს პარლამენტის საგანგებო სხდომა დღის პირველ ნახევარში შეწყდა, რადგან იმგვარად მუშაობა სხდომის ხელმძღვანელმა, პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ და ბევრმა დეპუტატმა უაზრობად მიიჩნია.

ჯერ იყო და, გზაში თუ სახლში მყოფი დეპუტატების ლოდინმა წაიღო დრო (სხდომა ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო), მერე კონსტიტუციის პროექტთან არადაკავშირებულმა განცხადებებმა.

კარგა ხანს კითხულობდა ბატონი ედუარდი და ვიცე-სპიკერ რუსუდან ბერიძე: დავიწყოთ თუ არა შემთანხმებელი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი, მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული ვარიანტის განხილვაო... საკითხი კენჭისყრამ გადაწყვიტა. მერე რად გინდათ, გამომსვლელები კონკრეტულზე მეტად, ზოგად კონცეპტუალურ საკითხებზე უფრო მსჯელობდნენ, რა სჯობდა და როგორ სჯობდა, პარლამენტზე თუ რეფერენდუმით მიღებული კონსტიტუცია, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მმართველობა...

ერთი სიტყვით, შემთანხმებელ ჯგუფში შეთანხმებული თუ ჯგუფთან მწყრალად მყოფი დეპუტატები ახალ-ახალი მოსაზრებების დაფიქსირებას ჯიუტად ცდილობდნენ. აშკარად ჩანდა, ყველას თავისი აზრი ქვეყნის ხსნის უტყუარ გზად მიაჩნდა.

გაკვირვებული პარლამენტის თავმჯდომარე ზოგიერთს ეკითხებოდა: ამდენი შენიშვნა-წინადადება თუ გქონდათ, შემთანხმებელ ჯგუფის მუშაობაში რატომღა არ მონაწილეობდით? ახალი მოსაზრებით გამოსულ ჯგუფის მონაწილეებს კი საყვედურობდა: უკვე შეთანხმებული სიტყვის უკან წაღება რაღააო...

კონსტიტუცია რომ საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დოკუმენტია, ეს პარლამენტარებს, რა თქმა უნდა, არ ესწავლებათ. იგი რომ განვითარებადია და უნდა დაიხვეწოს, ესეც ჩინებულად იციან. ამისათვის შემოთავაზებული პროექტის განხილვა რომ არის საჭირო, ესეც ხომ იციან? მერე? მერე რაღას უცდიან!.. (3 აგვისტოს განხილვის დადგენილი ვადა დამთავრდა) პირველი შეღავათი უკვე დაშვებულია: კონსტიტუციის განხილვის დრო პარლამენტის დადგენილებით 10 აგვისტომდე გაგრძელდა.

4 აგვისტოს საგანგებო სხდომა დღის მეორე ნახევარში დაიწყო. ვიცე-სპიკერმა რუსუდან ბერიძემ პარლამენტს შემთანხმებელი კომისიის მიერ შემუშავებული, მთავრობის ფორმირების სამი ვარიანტი გააცნო. მერაბ კოსტავას საზოგადოების ვარიანტი წაიკითხა ვაჟა ადამიამ, ვახტანგ ძაბირაძემ კი — გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წინადადება. შემოთავაზებული ხუთი ვარიანტიდან პარლამენტს ერთი, ოპტიმალური უნდა შეერჩია. შეთანხმდნენ, ეს სარეიტინგო გამოკითხვით გადაწყვეტილიყო. გამოკითხვიდან თავისი ვარიანტი მოხსნა მერაბ კოსტავას საზოგადოებამ და განმარტა, რომ შემთანხმებელ ჯგუფთან ერთად იმუშავებდნენ საფუძვლად აღებულ ვარიანტისა და თავიანთი წინადადებების შეჯერებაზე.

ხმათა უმრავლესობით (114) უპირატესობა შემთანხმებელი ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ პირველ ვარიანტს მიენიჭა.

მორიგ სხდომაზე პარლამენტი მთავრობის ფორმირების უკვე შეჯერებულ მისაღებ ვარიანტზე იმსჯელებს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ელჩის გამოსათხოვარი ვიზიტი

2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს სამშობლოში დაბრუნების წინ გამოსათხოვარი ვიზიტით ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი. ბატონმა ბრაუნმა განაცხადა, რომ მისთვის ყოველთვის ღირსსახსოვარი და ძვირფასი იქნება საქართველოში მუშაობის წლები და შემდგომშიც, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის შეუწყობს ხელს აშშ-ისა და საქართველოს თანამშრომლობის განმტკიცებას.

ქრონიკა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით თბილისის კონტროლის პალატის თავმჯდომარე **ჯემალ ჰკუასელი** იმავდროულად დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ.

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

რესპუბლიკის შიგნით ცხვრის გადასარეკი სახელმწიფო ტრასების სარგებლობისათვის გადასახადის დაწესების შესახებ

ცხვრის გადასარეკი ტრასებითა და დასასვენებელი მოედნებით სარგებლობის დღემდე არსებული წესის გამო ყოველწლიურად უარესდება მათი მდგომარეობა. არ მიმდინარეობს ტრასების მოვლის, ხიდ-ბოგირების აღდგენისა და დასასვენებელი მოედნების დაცვის სამუშაოები, ადგილი აქვს ტრასების გადახვნის, მიწების მიტაცებისა და უყაირათოდ გამოყენების ფაქტებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 18 დეკემბრის 398 ბრძანებულების შესაბამისად, 1995 წლიდან დაწესდეს გადასახადი ცხვრის გადასარეკი ტრასებითა და დასასვენებელი მოედნებით სარგებლობისათვის (ერთი მიმართულებით) ყოველ ცხვარზე 0,02 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნული ვალუტით, გადახდის მომენტში არსებული კურსის მიხედვით.

2. ცხვრის გადასარეკი ტრასებითა და დასასვენებელი მოედნებით სარგებლობისათვის გადასახადის ამოღება მოხდეს სულადობის მიხედვით სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მუშაკების მიერ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან და რესპუბლიკის შიგნით ზამთრის საძოვრებისა და გადასარეკი ტრასების მომსახურების რაზმის სპეციალისტებთან ერთად, რისთვისაც მათვე დაევალათ შეიმუშაონ გადასახადის ზუსტად აღრიცხვის ფორმა, მისი გაფორმებისა და მოქმედების წესები.

3. ცხვრის გადასარეკი ტრასებითა და დასასვენებელი მოედნებით სარგებლობისათვის ამოღებული გადასახადები ჩაირიცხოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ანგარიშზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ანგარიშზე ჩარიცხული თანხა მოხმარდეს გადასარეკი ტრასების, დასასვენებელი მოედნების, ხიდ-ბოგირების აღდგენას, წესრიგში მოყვანასა და დაცვას, აგრეთვე მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებას.

5. ეს ბრძანებულება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 8 იანვრის № 3 და 1994 წლის 4 მარტის № 67 ბრძანებულებებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 4 მარტის № 67 ბრძანებულების მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მასში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 8 იანვრის № 3 ბრძანებულების პირველ პუნქტში სიტყვები „1 ივლისამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „15 აგვისტომდე“.

2. „რესპუბლიკის ნავთობპროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების დროებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 4 მარტის № 67 ბრძანებულების მეოთხე პუნქტში სიტყვები „რვა პროცენტამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „თხუთმეტი პროცენტი“.

3. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტმა (გ. მამულაშვილი) მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე უზრუნველყოს ნავთობპროდუქტების ჩვეულებრივი წესით დაბეგვრის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება

მოსახლეობის ხელზე დარჩენილი 1-დან 30 ათასი (10 ათასის გარდა) კუპონის ღირებულების კუპიურების გადაცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკაში მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, სხვადასხვა მიზეზების გამო, დროულად ვერ მიიღო ინფორმაცია მიმოქცევიდან 1-დან 30 ათასი კუპონის (10 ათასიანის გარდა) ღირებულების კუპიურების ამოღების შესახებ, 1 აგვისტოს შემდეგ მათ დარჩათ ზემოაღნიშნული ნომინალების კუპონების გადასაცვლელი თანხები.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ვბრძანებ:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით გაერთიანებული ქართული ბანკის ფილიალებში (შემნახველ ბანკებში) გაგრძელდეს დადგენილი წესისამებრ მოსახლეობისაგან გადაცვლის მიზნით 1-დან 30 ათასი კუპონის (10 ათასიანის გარდა) ღირებულების კუპიურების მიღების ვადა 1995 წლის 15 აგვისტომდე.

2. განემარტოს მოსახლეობას, რომ რამდენადაც აღნიშნული ნომინალების კუპონების მიმოქცევიდან ამოღება დაკავშირებულია ფულის მოსალოდნელ რეფორმასთან, ეროვნული ბანკი აღარ დაუშვებს მსგავს გამონაკლისს, რადგან დადგენილი ვადების ყოველგვარმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს შეფერხება დაგეგმილი ღონისძიების განხორციელების საქმეში.

3. ეს ბრძანება გადაიცეს ტელევიზიით, გამოქვეყნდეს პრესაში და დაყვანილი იქნეს საბანკო დაწესებულებებამდე.

პრეზიდენტი
ნოდარ ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1995 წლის 3 აგვისტო.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე

აზრი იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს ინტერესები ყველაზე მაღლა დგას, 2 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით გამართული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პრაქტიკულად ყველა საკითხს გასდევდა წითელ ზოლად. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პარლამენტის ეკონომიკის საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები.

მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა რუსეთის სავალუტო და საექსპერტო კონტროლის ფედერალური სამსახურის მიერ წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ამ დარგში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს, ეროვნულ ბანკთან, საბაჟო დეპარტამენტთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, რესპუბლიკის მთავრობის სახელით დაევალა მოაწეროს ხელი ამ დოკუმენტს. ექსპერტთა აზრით, იგი სახავს ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის გაფართოება-გაღრმავების პერსპექტივას ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც არის დღეს სავალუტო და საექსპორტო კონტროლი, და ეს თანაბრად შეესაბამება ორი სახელმწიფოს ინტერესებს.

აზრთა პრინციპული გაზიარების საგანი გახდა საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების პროექტი „საგადასახადო სისტემის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“. იმის მიუხედავად, რომ წინასწარ ეს დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აზუსტებს დაბეგვრის მექანიზმს, და რომელიც საკმაოდ ღრმად და, თითქოს, ყოველმხრივ განიხილა ეკონომიკური რეფორმების საკითხთა სამთავრობო კომისიამ, მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა მაინც გამოთქვეს მთელი რიგი შენიშვნები და წინადადებები. სწორედ ამიტომ გადაწყდა ამ ეტაპზე მხოლოდ მთლიანად მოეწონებინათ დადგენილების პროექტი იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს მეთაურისათვის წარდგენამდე შეეტანათ კორექტივები, რომლებიც ამ დოკუმენტს გახდიან უფრო სრულყოფილს და, რაც მთავარია, ქმედითს.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სხდომაზე მოიწონეს აგრეთვე „საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ კანონის პროექტი, რომელიც ეხება საწარმოთა მოგების გადასახადს. გადაწყდა, იგი განსახილველად წარუდგინონ რესპუბლიკის პარლამენტს. ძალზე დროულად მიგვაჩნია აგრეთვე ის, რომ მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა „გაკოტრების საქმეთა წარმოების“ კანონის პროექტი, რომელიც ასევე წარუდგინეს დასამტკიცებლად ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, რათა უკვე 1996 წლის პირველი იანვრიდან იგი შევიდეს ძალაში. დაგეგმილია, რომ ამ ვადამდე აღძრული ყველა საქმე გაკოტრების შესახებ უნდა დასრულდეს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წლის 8 სექტემბერს მიღებული „საწარმოთა გაკოტრების შესახებ“ დეკრეტის საფუძველზე. პროექტის შესაბამისად, მის მიერ გათვალისწინებული საპელაციო სასამართლოს შემოღებამდე, მის უფლებამოსილებას განახორციელებენ რესპუბლიკის საკასაციო ინსტანციის სასამართლოები.

საფინანსო, საგადასახადო დისციპლინის განმტკიცება, ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა ის მთავარი მოთხოვნებია, რომლებსაც ამჟამად უყენებენ ადგილებზე ხელისუფლების ორგანოებს. და ეს გასაგებიც არის, რადგან იმაზე, თუ როგორ ართმევს თითოეული მათგანი თავს ამ საკითხებს, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საქმის ვითარება მთლიანად რესპუბლიკაში. აქ კარგ შედეგებს აღწევს ყვარლის რაიონის გამგეობა, რომლის მუშაობის ანგარიში ამ მიმართულებით წარმოადგინა სხდომაზე გამგეობის თავმჯდომარემ რევაზ ნიორაძემ. მიზანშეწონილად ცნეს, რომ ამიერიდან მინისტრთა კაბინეტის ყოველ სხდომაზე მოისმინონ ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურების ინფორმაცია რეგიონების საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში საქმის ვითარების, მათი ეკონომიკის განმტკიცებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

მთავრობამ მხარი დაუჭირა ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის წინადადებას მიწის რეფორმის განხორციელებაში ექსპერიმენტის დანერგვის შესახებ. იგი ითვალისწინებს რაიონულ და საქალაქო გამგეობებს მიანიჭონ უფლებამოსილება იჯარის სახით გამოჰყონ სარგებლობისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში რეფორმათა ფონდში მათი გამოყოფის შემდეგ. მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების პროექტი ამ ექსპერიმენტის თაობაზე, რომლითაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტს ევალებათ შეისწავლონ და განაზოგადონ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივა და წარმოადგინონ კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადება რესპუბლიკის სხვა რეგიონებში მისი დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ.

უკანასკნელ ხანს რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, უსახსროდ დარჩენილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული პროფკავშირული ჯანმრთელობის კერები, რომლებიც ახლა პროფკავშირებსა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის გაუთავებელი კამათისა და დავის საგანი გახდა. ამასთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტმა პრინციპში, მოიწონა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების პროექტი „პროფესიული კავშირების საკურორტო დაწესებულებათა შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს პრივატიზაციის სპეციალურ პროგრამას პროფკავშირების კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს სისტემაში, შეესაბამება როგორც შრომითი კოლექტივების, ისე ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ინტერესებს და, რაც მთავარია, უფრო ხელმისაწვდომს გახდის ჯანმრთელობის კერებს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

ამ ბოლო დროს თბილისის აეროპორტში შექმნილი რთული ვითარება იწვევს იმ ადამიანების სამართლიან აღშფოთებას, რომლებსაც ასე თუ ისე, ხქვთ საქმე რესპუბლიკის დედაქალაქის ამ საჰაერო კარიბჭესთან. საქმის ვითარება აქ კიდევ უფრო გართულდა აეროვაგზლის რეკონსტრუქციის დაწყებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც აეროპორტის სამსახურების, სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლობების საქმიანობაში წამოიჭრა ასეთ შემთხვევაში გარდაუვალი სირთულეები. და მაინც, ვერაფრით ვერ გავამართლებთ იმ ქაოსს, შეუთანხმებელ მოქმედებას, ზოგჯერ კი თვითნებობასაც, რომელიც გვხვდება საბაჟო სამსახურების, სატრანსპორტო პოლიციისა და სხვა სტრუქტურათა მუშაობაში. იმის ნაცვლად, რომ მგზავრებს მოემსახურონ, ისინი ლამის ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, რომ აეროპორტი შეაძულონ მათ ყოვლად უხეში და ხშირად უზრდელი ქცევით, რომელიც ლახავს ადამიანის ღირსებას. სწორედ ყოველივე ამის ირგვლივ გაიმართა სხდომაზე საკმაოდ პრინციპული და მომთხოვნი სჯა-ბაასი. მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა თბილისის აეროპორტში მგზავრთა მომსახურების, საბაჟო, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის განხორციელებისა და საავიაციო უზრუნველყოფის დროებითი წესები. ამ წესების მოქმედების ვადა განსაზღვრულია აეროვაგზლის შენობის რეკონსტრუქციის დასრულებამდე, რომელიც მომავალი წლის მარტისათვის არის გათვალისწინებული.

მინისტრთა კაბინეტმა განსაზღვრა ქალაქების თბილისისა და რუსთავის წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი, განიხილა რესპუბლიკის ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე.

როცა საავადმყოფომ ბავშვი არ მიიღო

— ეს ჩვენი მოვალეობა იყო, — იტყვის შემდეგ მალხაზ გოგლიჩიძე, ბავშვთა ქირურგი, ქალაქის მე-14 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე ექსპერტიზის დარგში.

მოვალეობაო, ისე უბრალოდ იტყვის ამას, თითქოს ჩვენი გაუსაძლისი დღევანდელობა ასეთი ზნეობრივი მაგალითებით იყოს სავსე. არადა, როგორ მოგვენატრებია მისი მსგავსი ადამიანები, უშურველად რომ გასცემენ სიკეთეს სხვათა სანუგეშოდ, გულის სითბოს რომ გაიღებენ, იმედად რომ დაგიდგებიან გაჭირვებაში.

...ბავშვები ეზოში ომობანას თამაშობენ. ზოგი იქვე ტირიფის ხეზე აძვრა, ზოგი სადღაც მიიმალა. უცებ ხეს ტოტი ჩამოტყდა და 11 წლის ჰაბუკა — სოხუმელი ლტოლვილი ბიჭი მიწას დაენარცხა. შედეგი — უმძიმესი. იდაყვის სახსრის ტრავმული გაგლეჯა, რამაც გამოიწვია ძვლების გარეთ გამოყრა. ჰაბუკას უფროსმა ძმამ დასახმარებლად მეზობლებთან მოირბინა (ბავშვების მშობლები შინ არ იყვნენ).

ბავშვი იქვე, მე-14 პოლიკლინიკაში მიიყვანეს.

თინა მელაძე, 188-ე საშუალო სკოლის პედაგოგი: ახალგაზრდა ქირურგმა მალხაზ გოგლიჩიძემ ბავშვი რომ გასინჯა, ელდა ეცა, არიქა, სასწრაფოდ საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთო. მერაბ რევიას დაუძახა, ამავე პოლიკლინიკის დერმატოვენეროლოგს, ახალგაზრდა ექიმს. ბავშვი თავისივე მანქანაში ჩასვეს. ერთი წუთით მომიცადეთ, ჩავიცვამ და მეც წამოვალ-მეთქი. სახლში გავიქეცი. რომ მოვედი, უკვე წასულები დამხვდნენ. არ დამელოდნენ. ისე მოქმედებდნენ, როგორც ხანძრის ჩასაქრობად მოსული მეხანძრეები.

მერე კი, როცა ყველაფერი კარგად დამთავრდა და ბავშვს გაუკეთდა ოპერაცია, მალხაზს მთელი დღე ბავშვის მშობლები და ახლობლები მიმოშყავდა საავადმყოფოდან.

ეს მერე იყო, მანამდე.. იყო დიდი ნერვიული დაძაბულობა.

მალხაზ გოგლიჩიძე: მივედით დიღმის მასივში, ტრავმატოლოგიის ცენტრში, ოპერაციას ვერ გავაკეთებთო. მივედით ქირურგიის ინსტიტუტში, იქაც — უარი, ტრავმა ძალზე სპეციფიკურიაო. ბოლოს ჩხეიძის ქუჩაზე წამოვიყვანეთ. გზაში შევშინდით, შოკში არ ჩავარდნილიყო და ძალიან მოვინდომეთ, როგორმე გაგვერთო. მართლაც, გავართეთ. არ ტიროდა, გვისმენდა და იღიმებოდა. არადა, უმძიმესი მდგომარეობა ქონდა.

რა არის ფსიქოთერაპია... ალბათ ის, რაც მალხაზმა და მერაბმა გააკეთეს. (ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულებაზე აღარაფერს ვამბობ!). მთელ თავის „სამედიცინო ცოდნას“ მოუხმეს და ბავშვი ისე „გააკაჟეს“, რომ როგორც ამბობენ, ოპერაციაზეც თვალი არ დაუხამხამებია.

მალხაზ ექიმმა მერეც რამდენჯერმე მოინახულა ჰაბუკა საავადმყოფოში. ამას წინათ შვილთან, ჰაბუკას კბილა ბიჭუნასთან ერთად მივიდა.

როგორ მოგვენატრებია მისი მსგავსი ადამიანები, ახე ძალიან რომ სჭირდება დღევანდელ და ხვალინდელ საქართველოს!

მზია ბელენავა.

ხიდები

მათემატიკური მოდელირება:

დიეტის შედგენიდან ფინანსურ ოპერაციებამდე

დღევანდელ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში ქართული მეცნიერება ერთგვარად ჩრდილში აღმოჩნდა. მაგრამ სასიხარულოა, რომ ამგვარი რთული პირობების მიუხედავად ჩვენი მეცნიერთა ნაშრომები ხშირად პოულობენ დამსახურებულ აღიარებას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

ამის ნათელ დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ თუნდაც ის, რომ რამდენიმე დღის წინ გერმანიიდან დაბრუნდა ახალგაზრდა მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე თოფჩიშვილი, რომელიც მონაწილეობდა XII საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში.

— კონფერენციის მთავარი ორგანიზატორი, — თქვა საუბრისას ბატონმა ალექსანდრემ, — იყო ქ. ჰაგენის ფერნუნივერსიტეტი და უშუალოდ მისი რექტორი პროფესორი გიუნტერ ფანდელი, კონფერენცია მიეძღვნა თეორიას — **„გადაწყვეტილების მიღება მრავალი კრიტერიუმის შემთხვევაში“.**

ამ ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა ორმოცი ქვეყნის 190 ცნობილი მეცნიერი. საქართველოდან ვიყავით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი მინდია სალუქვაძე და მე.

გარდა სამეცნიერო მოხსენებისა, ჩვენ ვხელმძღვანელობდით სხვადასხვა სექციების მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მოხსენებაში წარმოდგენილმა დასკვნებმა საზღვარგარეთის მეცნიერების დიდი დაინტერესება გამოიწვია, და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ჩვენი მოხსენების თემა მეტად აქტუალურია მსოფლიოში.

— **იქნებ დააკონკრეტოთ, რა მეცნიერულ მიმართულებაზეა საუბარი?**

— ვინაიდან ეს ძალიან სპეციფიკური თემაა, ვეცდები შეძლებისდაგვარად მარტივად მოგახსენოთ, რომ ეს ეხება ოპტიმიზაციის ამოცანების კვლევას ხარისხის ვექტორული კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური სისტემების მართვის თეორიულ საფუძველს.

მათემატიკური მოდელირებისა და ოპტიმიზაციის მეშვეობით შეგვიძლია დადებითად გადავწყვიტოთ მრავალი ამოცანა. კერძოდ, დიეტის ანუ ოპტიმალური ულუფის შედგენის, რესურსების რაციონალური გამოყენების, სატრანსპორტო პრობლემების, საბანკო ოპერაციების ეფექტიანი მართვის და კიდევ სხვა მრავალი ამოცანა, რომლის ამოხსნის და გადაჭრის დროს ოპტიმიზაციის მეთოდის გამოყენება მოგვცემს სასურველ დადებით ეფექტს.

ოპტიმიზაციის პრობლემა დღესაც იპყრობს ჩემს ყურადღებას, როგორც ამოუწურავი შესაძლებლობის საგანი. ოპტიმიზაციის მეთოდების შესახებ ვკითხულობ ლექციებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრაზე.

— **ხშირად გიწევთ მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში?**

— საკმაოდ. რამდენჯერმე ვიყავი მოწვეული საერთაშორისო კონფერენციებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტაივანზე, გერმანიაში და სხვა. ერთი თვის განმავლობაში აშშ-ში ვკითხულობდი ლექციებს ჯორჯიის, ტენესის, ნიუ-იორკის, ჯონს-ჰოპკინსის, კლიმსონის უნივერსიტეტებში.

— **დასამალი არ არის, რომ ამგვარი „მოგზაურობა“ საკმაოდ ძვირადღირებულია და გასაგებია, ყველა ცდილობს მოძებნოს სპონსორი. თქვენ აგცდათ ეს ხვედრი?**

— ამ პრობლემაზე არც ვფიქრობდი, ვინაიდან ამაზე ზრუნავდა მასპინძელი მხარე. ის, ვინც იყო ჩემი მიწვევის ინიციატორი.

— **თქვენ სოროსის გრანტის მფლობელი ბრძანდებით. როგორ მოხდა ეს?**

— გავიმარჯვეთ საკმაოდ რთულ და ძნელ კონკურსში — ბატონმა მ. სალუქვაძემ და მე. ჩვენმა პროექტმა თემაზე „მრავალკრიტერიული პრობლემები განუსაზღვრელობის გათვალისწინებით“ დაიმსახურა მოწონება, შედეგი კი — გრანტის გამოყოფა.

— **როგორ გესახებათ თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან მომავალში?**

— შემოდგომაზე ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად მომიწევს სამეცნიერო მივლინებით ჩასვლა ინგლისში დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების მიწვევით. წავიკითხავ ლექციების ციკლს პორტსმუტსა და გლაზგოში, ინგლისელ კოლეგებთან ერთად ჩავატარებ სამეცნიერო კვლევებს.

საქართველოში დაბრუნებისას გავაგრძელებ მუშაობას ჩემს მიერ დამუშავებული ახალი მეთოდების და ალგორითმების ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში გამოსაყენებლად. ვოცნებობ, რომ ახლო მომავალში თბილისშიც ჩატარდეს ასეთი დონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, შეხვედრები.

ვფიქრობ, ეს ოცნება უსაფუძვლო არ არის.

ესაუბრა
გივი ჩიქვინიძე.

ნომრის თემა

შენი თვალების დაღლილი ეშხი თან გამყვა როგორც ლურჯი ლილილო...

პარტიებსა და მოძრაობებში

ოჰ, ეს აბეზარი პოეზია

ჩვენ ელემენტარული პირობების უქონლობის, სიღარიბის გამო ვართ ნაკლებადპოპულარული პარტია, — განაცხადა სახალხო პარტიის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ პრესკონფერენციაზე, რომელიც პარტიის ოფიციალური დაფუძნების მეხუთე წლისთავს მიეძღვნა. დღეს საქართველოში სისხლიანი ფულის ტრიალია. 140.000 ხმა რომ მოიპოვო, ძალიან დიდი ხარჯებია საჭირო. მიმდინარეობს ხელისუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლა სახელმწიფოში, რომელიც არ არსებობს. არ არსებობს ხომალდი, ხალხი კი ცდილობს კაიუტაში ადგილი დაიკავოს. ჩვენ კი, ინტელიგენტ ადამიანს რომ არ შეეფერება, იმას ვერ ვიკადრებთო, თქვა.

გ. სიხარულიძემ პრესკონფერენციის მონაწილეებს აუწყა, ერთ-ერთი პრეზიდენტობის კანდიდატის გარშემო ხელისუფლებაზე განაწყენებული ძალები იყრიან თავს, მათ შორის — სახელმწიფოს მეთაურის გარემოცვიდანაც. შექმნილია გადატრიალების წინა მდგომარეობა, რომელსაც კავშირი კრემლის დაჯგუფებებთან აქვსო (ოჰ, ეს უკუღმართი კრემლი, მისი აგენტების გარეშე ხომ არანაირი სიგლახე არ ხდება პლანეტაზე!).

კითხვაზე, მიიღებს თუ არა სახალხო პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, პატივცემულმა გიორგიმ განაცხადა, რომ ხუთპროცენტიანი ბარიერი თითქმის გადაულახავ დაბრკოლებას უქმნის პარტიებს, რომელთაც არ გააჩნიათ სახსრები საარჩევნო კამპანიის წარსამართავად. თუმცა იქვე იმედიანად განაცხადა, ყველაფერს ვიღონებთ ამ ანტიდემოკრატიული კანონპროექტის გასაუქმებლად, მაგრამ თუ ვერას გავხდით, იძულებული ვიქნებით პროტესტის ნიშნად უარი ვთქვათ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობაზეო.

პარტიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საქართველო პოეტების ქვეყანაა, მაგრამ რაკი პოლიტიკა ვერ არის მთლად პოეტური სარბიელი, ჩვენი გაჭირვებაც აქედან მოდის. მისი აზრით, ქართველ მოღვაწეთა შორის სულ რამდენიმე კაცია, რომლებიც სხვაზე უკეთ ერკვევიან პოლიტიკურ ნიუანსებში. თუმცა ბოლო წლების ზოგიერთი მოვლენა და ქართული პოლიტიკური აზროვნების საბედისწერო შეცდომები მაფიქრებინებს, რომ ეს მოღვაწენიც არ არიან მწყრალად პოეზიასთანო.

საინტერესოა, ამ მხრივ როგორ გამოიყურება სახალხო პარტია და მისი თავმჯდომარე, შეძლეს და მოიშორეს თავიდან ეს აბეზარი პოეზია, ასე რომ გვიშლის ყველაფერში ხელს?

თუ ასეა, მთლად უიმედოდ არ გვქონია საქმე!

მზია გელენავა.

პრესა

გაზეთი და ეროვნული საკითხი

საჭირო მოქნილობას მოკლებული ეროვნული პოლიტიკა მუდამ წარმოქმნის წინააღმდეგობასა და პროტესტს, იწვევს მოსახლეობის გათიშვას. მხოლოდ მოლაპარაკება, სხვადასხვა ვარიანტის შემუშავება, კომპრომისი, შეთანხმება უნდა გახდეს ეროვნული საკითხების მოგვარების სტრატეგია და ტაქტიკა.

რესპუბლიკის უძველესმა სომხურმა გაზეთმა „ვრასტანმა" (რედაქტორი ვან. ბაიბურთი) თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდო ეს ჭეშმარიტება და თითქმის ყოველ ნომერში აქვეყნებს სტატიებს, ნარკვევებს, ინფორმაციებს, სხვა მასალებს, რომლებშიც ამა თუ იმ ფორმით არის წარმოჩენილი ეროვნულ პრობლემათა გადაჭრისა და ძალადობაზე უარის თქმის გზები.

გაზეთის ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერიც თითქმის მთლიანად ეძღვნება ორი ხალხის — სომეხი და ქართველი ხალხების ძმობის შემდგომი განმტკიცების საკითხებს. მკითხველის ყურადღებას იპყრობს სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო სერადეგიანის ინტერვიუ, სადაც ხაზგასმულია, რომ სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს არა მარტო ერთობლივი მოქმედება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ორი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულთა ერთობლივი ანალიზი, აგრეთვე იმათ წინააღმდეგ ერთობლივი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ვინც ცდილობს გააღვივოს ეროვნებათშორისი შუღლი. ვანო სერადეგიანი დიდ შეფასებას აძლევს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მოქმედებას. მოჰყავს მაგალითები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ცხოვრებიდან, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები და სადაც საქართველოს ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რათა პოლიტიკური სიტუაცია სტაბილური დარჩეს.

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ მასალას, რომელიც ეხება აფხაზეთის კონფლიქტის პრობლემას. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მრავალი სომეხი დაიღუპა საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლებში და აქვე ისიც არის აღნიშნული, რომ დასაძრახია, მეტი რომ არ ვთქვათ, აფხაზეთში მცხოვრებ ცალკეულ სომეხთა საქციელი, რომლებიც სეპარატისტებთან ერთად იბრძოდნენ მათ რაზმებში. გაზეთი წერს, რომ რედაქციაში რეკავენ აფხაზეთში მცხოვრები სომხები და უჩივიან იმ აუტანელ პირობებს, რომლებსაც მათ უქმნიან გუდაუთელი ხელისუფლები. ისინი ამბობენ, რომ ზოგიერთი მათგანი არმიაში გაიწვიეს იარაღის ძალით და მათ ბრძოლა უწევდათ დახვრეტის მუქარით.

ამ ნომერში გამოქვეყნებულია აგრეთვე ნარკვევი, რომელიც ეძღვნება 89 წლის ინჟინერს ალექსანდრე ჩაგუნავას.

„ვრასტანი" მეგობრობის საქმეს აკეთებს.

საქინფორმი.

„გალი" — პირველი მერცხალი

გალის რაიონის მცხოვრებლები, ამჟამად ლტოლვილები, თვალცრემლიანი კითხულობდნენ თავიანთი მშობლიური გაზეთის „გალის" პირველ ნომერს. ნაცნობი სახელები, გვარები... ობიექტურად აფასებს რა სეპარატისტების მიერ ოკუპირებულ სამშობლოში შექმნილ ვითარებას, პირველი ნომერი მკითხველს მოუთხრობს იმ მხეცობის ამბავს, რომელიც თავს დაატეხეს გალელებს აფხაზმა მკვლელმა-ბოევიკებმა.

გაზეთში სინანულით არის ხაზგასმული ის ფაქტიც, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომლებმაც იციან აფხაზ ბოევიკთა მხეცობის ამბავი, ჩაურევლობის პოზიციას ამჯობინებენ.

„გალი" დაბეჭდილია თბილისის გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური — საქინფორმი.

სოფელს მიხედოთ, სოფელს!

საშურ საქმეს ნუ გადავდებთ

ათიოდე წლის წინათ საქართველოს მთავრობამ სანაქებო საქმე გააკეთა. მესტიის რაიონის ზვავსაშიში ზონიდან გარდაბნის რაიონის სოფლებში ლილოში, ნაგებსა და ჯანდარაში, საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში ხუთასამდე ოჯახი ჩამოასახლა. ეს საკმარისი იყო რაიონის განტვირთვისათვის.

მაშინ სახელმწიფომ სოფლები უმოკლეს ვადებში ააშენა. „უკუქცევის" დაწყებამდე ვერ მოესწრო პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს დამთავრება, მაგრამ ახალმოსახლეთ პირობაზე ყველა ოჯახი მოღონიერდა.

ამ წერილში გესაუბრებით ყოფილი ჯანდარის ნასოფლარზე აღმოცენებულ ახლანდელი ლემშვენიერას პრობლემებზე.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აფხაზეთის ომის საბაბით ლემშვენიერას სასუქებელ კომპლექსებში დარჩენილი 15 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი გაიყვანეს, დაკლეს. მეურნეობის ხელმძღვანელობამ ისეა მოასწრო, რომ სანაშენე საქონელი ოჯახებს შეასყიდა. ბევრს მარჩენალად დღესაც მაშინ ნაყიდი ძროხები ჰყავს, მაგრამ 15 ათასის ნაცვლად 150-200 სული პირუტყვი სოფლისათვის ცოტაა. მით უმეტეს, რომ მანამდე კომპლექსში 30-35 ათას სულს ითვლიდნენ და მეურნეობას ყოველწლიურად 2,5-3 მილიონი მოგება რჩებოდა. რომ იტყვიან, თავზე საყრელად ჰქონდათ ხორბალი, ქერი, თივა, კომბინირებული საკვები. მეტი რა უნდა სოფელს? როცა მეცხოველეობის საკვები საკმარისია, მაშინ იგი ღონიერია. და ჭარბი პროდუქციით ქალაქსაც აცხოვრებს, ამარაგებს და არეგულირებს ბაზარს, ამასთან დასაქმების პრობლემაც გადაწყვეტილია.

დაიწყო ფერმების დაშლა, თავიდან — ორგანიზებულად. მაგრამ მერე მოკლე დროში ქვა ქვაზე აღარ დატოვეს. დაიტაცეს წყალსატუმბები, სახელოსნოები, ტრანსპორტი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ასე და ამგვარად, ხალხი უმუშევარი დარჩა, თავის გაყიდვით 40-50 კაცი თუ ირჩენს თავს, თორემ სოფლის ძირითადი მოსახლეობა — 2 500-ზე მეტი დაუსაქმებელია. ლემშვენიერიდან ხალხი სამუშაოზე გარდაბანში მთელი წელიწადი ფეხით დადიოდა. მაგრამ აღებული კუპონებით გასავლის ხარჯებსაც ვერ ფარავდნენ. ამ წერილისათვის მასალებს რომ ვაგროვებდი, უმეტესობას 5-6 თვის ხელფასი მისაღები ჰქონდა.

მეამაყება, რომ სვანებს მოსდგამთ და უყვართ მრავალი შვილი, სიკეთის ქმნაში და სამშობლოს სიყვარულშიც არავის ჩამორჩებიან. ეს სიყვარული მათ აფხაზეთის ომშიც დაამტკიცეს... მართალია, ზოგიერთმა ნაძირალამ ვიღაცეების წაბაძვით შეირცხვინა თავი, მაგრამ ათასობით სიკეთეს ერთეულთა უღირსობა ვერ გადაწონის, მათ საკადრის პასუხს ისევ სვანები გასცემენ...

სვანების დასახლება საზღვრისპირა სოფლებში უდავოდ გამართლებულად, საერო საქმედ უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც აქ მცხოვრებ მოსახლეობას ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობები უნდა შევუქმნათ, რომ მას თვალი გაქცევაზე არ ეჭიროს. ამისათვის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად მიგვაჩნია — მივცეთ მათ საშუალება, რამდენსაც შესძლებენ, იმდენი მიწა დაამუშაონ, მით უმეტეს, ლემშვენიერას მიწის ფონდი 8 ათასი ჰექტარია, აქედან 3 030 ჰექტარი სარწყავ-სახნავია და 4 ათასზე მეტი — საძოვარი. სარწყავ-სახნავი მიწა 30-35 ათას სულ მსხვილფეხა პირუტყვს კომპლექსს ბაგური კვებით უზრუნველყოფდა. სოფელი მშიერია. მავანმა შეიძლება თქვას, სვანებს გარჯა არ უყვართო. სინამდვილეში კი სვანი შრომისმოყვარეობით ტოლს არავის დაუდებს.

ზემოთ თივის დამზადება ვახსენე. ახლა დავუმატებ, რომ თივის დამზადებით მიღებული შემოსავალი სოფელს თითქმის არ ხმარდება. ამის თაობაზე სათქმელი ბევრია, მაგრამ საგაზეთო წერილი ყველაფერს ვერ დაიტევს. იმას კი ვიტყვი, რომ მარტო მარშანდილმა შემოსავალმა, სოფლის მშრომელთა ანგარიშით, 500 მილიონი რუბლი შეადგინა. თუ იმასაც ვიანგარიშებთ, რომ თივის უმეტესი ნაწილი თურქეთში გაიყიდა და იქიდან მიღებულმა შემოსავალმა თითქმის 300 ათას დოლარს მიაღწია, მაშინ მეურნეობის ხელმძღვანელთა მიერ სოფლის მშრომელებისთვის დარიგებული 32 მილიონი რუბლი ძალიან ცოტაა. სოფელს ბევრი სათხოვარი ჰქონდა, მაგრამ რაკი ყურს დამგდები ვერ ნახა, ზოგიერთი პრობლემა თავად გადაწყვიტა. მაგალითად, თითოეულმა მოსახლემ ოთხ-ოთხი ჰექტარი მიწა გაინაწილა. მეურნეობის დირექტორიც ახალი აირჩია. ღმერთმა ქნას, რომ მან გამართლოს და ხელი აიღებინოს თანასოფლელებს სვანეთში დაბრუნებაზე. უმჯობესია აქ მომძლავრდნენ, სვანეთში კი მათი შვილები დაბრუნდნენ.

კარგი იქნება, თუ ლემშვენიერას გადავცემთ ყოფილი ჯანდარის ტბას, საიდანაც 5-7 წლის წინათ თევზს ტონობით იჭერდნენ. საქმისმცოდნეთა თქმით (და არა იმათი, ვინც დაჭერილ თევზს ეპატრონება და მისი რეალიზაციით მდიდრდება), ორიოდ წელიწადში ტბაში თევზი აღარ დარჩება, რადგან 4 წელიწადია ერთი ლიფსიტაც არ ჩაუშვიათ. არადა, ყოველწლიურად 3-4 მილიონ ლიფსიტას უნდა უშვებდნენ.

ამ საქმესაც მოუვლიდა სოფელი. შევეწყოთ ხელი საზღვრისპირა სოფლებში ჩამოსახლებულთ. მათ ბევრი სასარგებლო საქმის კეთება შეუძლიათ.

პირიმე გვარლიანი.

განსჯა

არსენა ისევ ვირის აბანოში მიაბრძანეს

იმდენი ვილაპარაკეთ, იმდენი ვწერეთ, მთელი საქართველო გაქურდა, გაყაჩაღდაო, რომ სასურველ მიზანს მივაღწიეთ: მთელი ერი ავაზაკად მოვნათლეთ. ზნეობას, ადათ-ტრადიციებს უბოდიშოდ ფეხით ვთელავთ, ადამიანურ-მორალურ ღირსებებს ვასამარებთ და ვითომც არაფერი, — პირში წყალს ვიგუბებთ...

თუ ვინმემ ხმა ამოიღო, უმალ ქოქოლას დააყრიან, — ოდითგანვე ასე ვიყავით, ახლა რა გიკვირთო. ცოტას კომუნისტებზე გვაჩერებდნენ, ცეცხლითა და მახვილით, ჩექმითა და მათრახით, თორემ აქამდე ქურდულ-მაფიოზურ, ყაჩაღურ-კლანურ სახელმწიფოდ ბარე ცხრაჯერ ვიქცეოდით და ამის ფესვები, ეჰეი, შორიდან მოდის, ლამის უხსოვარი დროიდანო. შეედავები და ისევ გაგაჩუმებენ...

გახსოვთ კაკო ყაჩაღი? გვახსოვს! არსენა ყაჩაღი? ეგეც გვახსოვს!

ჰოდა, მეტი რაღა გინდათო. მარტო ეგენიც გვეყოფა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ყაჩაღებს ვეტრფით, ხოტბას ვასხამთო, ბავშვებს სკოლაში ვასწავლით, კინოფილმებს ვიღებთ, რომანებსა და პოემებს ვწერთო. რა გგონიათ, ილია ჭავჭავაძემ და მიხეილ ჯავახიშვილმა კარგი საქმე გაგვიკეთესო? ყაჩაღებზე წიგნები კი არ უნდა დაეწერათ, პირიქით, დაწერილები უნდა დაეფხრიწათო...

მარტო ბლაჭიაშვილი და ოძელაშვილი რომ ყოფილიყვნენ, კიდევ არაფერი, ავდექით და ყაჩაღების მთელი გალერეა შევქმენით. იქით — სიმონა დოლიძეო. აქეთ—დათა თუთაშხიაო. მერე ზოგან ყაჩაღები კიდევაც დავაწყვილეთო, — კახეთში, მაგალითად, ხარებას გვერდში გოგია ამოვუყენეთ, გურიაში სიმონას დარიკო ჩავუდედოფლეთო. აბა, ამას ქართველების მეტი ვინ იზამდაო. წესი და რიგი რომ გვცოდნოდა, კანონი და დისციპლინა გვყვარებოდა, მაგნაირი ხალხი ხელში აგვეტაცა კი არა, შინ არ უნდა შეგვეშვაო.

იმისთანა არგუმენტებია, — ენას მოიკვნეტ. თურმე ჩვენი დამაქცევრები ჩვენვე ვყოფილვართ, რადგან დედის რძესთან ერთად გვისრუტია ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ხერხები, სისასტიკის, სიმდაბლის, სიმყრალის ნიუანსები. ამიტომ... ახლა, ამ ეკონომიკური ჩანაგებისა და პოლიტიკური არეულობის ჟამს, — სულაც არ არის გასაკვირი, დასაყვირი, რომ ვქურდობთ, ვძარცველობთ, ვყაჩაღობთ... სულაც არა!

ჰოდა, დადგა დრო გამოფხიზლებისა, ყურის გამოფხეკისა. დღევანდელი მკვლელები, ყაჩაღები, ბანდიტები შეიძლება გარეთ ვასეირნოთ, ამნისტიები წელიწადში სამ-სამჯერ ვაცხოთ, ავტომატიან-ტყვიამფრქვევიან-ხელყუმბარებიანები ვაქოთ, სამაგიეროდ, ლიტერატურული ყაჩაღები, ფირალები და აბრაგები აუცილებლად უნდა ვასამართლოთ, ციხეებში გავისტუმროთ.

ამას წინათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში შედგა არსენა ოძელაშვილის სასამართლო. ბრალდებამ იგი დაადანაშაულა ყაჩაღობაში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების (ყაზახების) შეურაცხყოფასა და ცემა-ტყეპაში. საქმე უთუოდ ჩამოხრჩობამდე ან დახვრეტამდე მივიდოდა, მაგრამ ძალზე ძლიერი გამოდგა პატიმრის დამცველი. მან არსენა ოძელაშვილის კეთილი ამბების მჭევრმეტყველური წარმოჩენით, შესაშური ორატორობით ნამდვილად ზეგავლენა მოახდინა ნაფიც მსაჯულებზე და, შესაბამისად — განაჩენზეც. სასამართლომ ბოლოს და ბოლოს გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოებები და არსენა ოძელაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა... ერთი წლის ვადით!

მაშ ასე, — დიდი საქმე გავაკეთეთ, — არსენა ოძელაშვილი კვლავ ციხეში ჩავსვით. ამისთანა სასამართლოებს ადრე სკოლებში მართავდნენ, ახლა — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, ხვალ, ალბათ, — უზენაეს სასამართლოში... ინსტანციები დაგველევა? რას ბრძანებთ! ბრალდებულები შემოგვაკლდება? როგორ გეკადრებათ! რიგშია სიმონა დოლიძე, დათა თუთაშხია, კაკო და ზაქრო, ხარება და გოგია... იმ საწყლებს თითქოს ის არ ეყოთ, როცა ცხრა-ცხრა ტყვია მიაჭედეს... დიახ, ხელახლა უნდა გავასამართლოთ...

სხვათა შორის, სადღეისოდ საქართველოში სხვადასხვა დანაშაულისათვის იძებნება 3.000-მდე კაცი. მათ შორის ყველაზე მეტია მკვლელები, ყაჩაღები, ბინის ქურდები... თავს უშველეს: ზოგი რუსეთშია, ზოგი გერმანიაში, ზოგი ამერიკაში... გაიქცნენ, აბა, სად გაიქცევა არსენა ოძელაშვილი, დათა თუთაშხია, კაკო ბლაჭიაშვილი, სიმონა დოლიძე, ხარება ჯიბუტი. ესენი გამქცევები არ არიან. ჰოდა, ესენი დავიჭიროთ, ესენი გავასამართლოთ. ისე, ტარიელ მკლავაძეც შეიძლებოდა გაგვესამართლებინა და დავით ძალაძეც. მაგრამ... შარის თავი გაქვს? იქნებ ისეთ შეიარაღებულ ფორმირებებში იყვნენ გაერთიანებული, რომ ცხვირიდან ძმარი გადინონ. ამიტომაც, მოიშვით, — სიფრთხილეს თავი არა სტკივა. თანაც მაგათ ყაჩაღები არ ერქვათ. ყაჩაღებზე უარესს სჩადიოდნენ, მაგრამ არ ერქვათ. დრონი ყოველთვის მეფობენ. ასეა ეს!

დავუშვათ, მართლაც ყაჩაღები იყვნენ არსენაც, კაკოც, დათაც, ხარებაც, სიმონაც... მართლაც ვცდებოდით — უნდა გვეძაგებინა, გველანძღა, ლაფში ამოგვესვარა. მაგრამ მათ გვერდით სხვებიც რომ იყვნენ? ცოტნე დადიანი, პაატა სააკაძე, დედოფალი ქეთევან, ბერი თევდორე?.. ისინი აღარ გვახსოვს, ისინი ქართველები არ იყვნენ? ქართველები იყვნენ მხოლოდ ყაჩაღები არსენა ოძელაშვილი, კაკო ბლაჭიაშვილი, სიმონა დოლიძე, დათა თუთაშხია... მათ გენში იდო ყაჩაღობა, მათ ჯიშში იჯდა ავაზაკობა. ამიტომაც უნდა გავასამართლოთ.

ამ ბოლო დროს მსოფლიოს თუ არა, მთელ „ესენგეს" მაინც მოედო ხმები ჩეჩნების, ქართველების, აზერბაიჯანელების თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლების მაფიური კლანების შესახებ. თითქოს ყველა სისასტიკეს, ყველა სისაძაგლეს ისინი სჩადიოდნენ, ვთქვათ, მოსკოვში. ისე, შინაურულად თუ ვიტყვით, უცეცხლოდ კვამლი არ ჩნდება, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ადგილობრივმა „შავმა სამყარომ" მოსულებს თავი დააჩაგვრინოს და გავლენის სფეროები მხოლოდ სხვა ერების წარმომადგენლებს ჩააბაროს. თავად რუსებმა აღიარეს, რომ დანაშაულს ეროვნულობა არა აქვს!

ჩვენ მაინც ჩვენსას გავიძახით, — სწორედ ქართველები ვართ ყაჩაღები, სწორედ ჩვენ ვართ დასაწვავები, დასამდუღრები, დასასჯელები. არა, მე არ ვამტკიცებ, რომ მამა აბრამის ბატკნები ვართ, — ავაზაკები თავზე საყრელადაც გვყავს, — მაგრამ იმას მაინც გავიმეორებ, რომ დანაშაულს ეროვნულობა არა აქვს. ამიტომ, მოდით, ყველა ჯოხს ქართველებზე ნუ გადავტეხთ, მარტო ქართველებს ნუ გავასამართლებთ. იმ არსენა ოძელაშვილს, სხვათა შორის, როცა ქალაქის ქუჩებში გათოკილს დაატარებდნენ, ტაშს სომხებიც უკრავდნენ და რუსებიც...

თუმცა, ჩვენ სომხებსა და რუსებს, იტალიელებს და კოლუმბიელებს რას დავეძებთ, რას ვკითხულობთ. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ნაგავი უნდა ვქექოთ, ერთი სიტყვით, ჩვენი ეროვნული საქმე ვაკეთოთ — ჩვენი ხალხი ვასამართლოთ, ჩვენი ხალხი ვტუსაღოთ, 2-3 ათასი „დროებითი" ავაზაკის გამო მთელი ერი ვთათხოთ, ლიტერატურული გმირები წიგნებიდან ამოვყაროთ...

დიახ, ლიტერატურული გმირები, ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლები, უბრალო ადამიანების ქომაგები, მათი ვარამის გამზიარებლები. სიმონა და დარიკო გაჭირვებული კაცის ყანაში ოყიან თოხს უბაგუნებდნენ? უბაგუნებდნენ! ხარება და გოგია დაუძლურებული ქალის ვენახში ასკილოიან გოდრებს ეწეოდნენ? ეწეოდნენ! ახლა ვნახოთ, რას ამბობს არსენა მუხრან მაჭავარიანის ენით: „უღმერთო უსამართლობამ ტყეში მისროლა სახლიდან... ო, როგორ მინდა ცხოვრება დამაწყებინა ახლიდან; თუნდ ერთხელ, ოღონდ ურმული მამღერა ხელში სახრითა".

ზის ახლა ეს არსენა ოძელაშვილი ციხეში. ზის და ქლიბს ელოდება. გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი — ან რუსის ოფიცერი ან თათრის ბეგი და ყაჩაღს ხელადით გადაუგდებს. დიახ, გადაუგდებს: ან რუსი ან თათარი, ყოველ შემთხვევაში, — ქართველი არა! ქართველების აზრით, ყველა ყაჩაღი, არსენასა და კაკოს მსგავსი, აუცილებლად იქ უნდა იჯდეს, — ვირის აბანოში.

ბონდო გულიაშვილი.

საქართველოს სპორტსმენთა კავშირის განცხადება

ქართველთა და აფხაზთა საბედისწერო დაპირისპირება არ არის ლოკალური, ეთნიკური კონფლიქტი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს უბედურებაა.

მე-20 საუკუნის დასასრულს აფხაზეთში დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიას კაცობრიობის ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება. „აგრესიული სეპარატიზმი" მხოლოდ ნაწილობრივ წარმოაჩენს ამ ბარბაროსული მოვლენის არსს, რადგან საქმე არნახული ცინიზმით და სისასტიკით ჩადენილ ზოგადსაკაცობრიო დანაშაულთან გვაქვს.

საომარ მოქმედებათა შეწყვეტის მორიგი ხელშეკრულების (რიგით მესამის!) ვერაგულად დარღვევის შემდეგ, აფხაზი სეპარატისტები და რუსეთის ტერიტორიიდან შემოსული დაქირავებული მკვლელები ულმობლად გაუსწორდნენ არამარტო ფაქტიურად განიარაღებულ საჯარისო ფორმირებებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც. განსაკუთრებული სადიზმი გამოიჩინეს დაუცველი ქალების, ბავშვებისა და მოხუცების მიმართ.

ეროვნული ნიშნით ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილი აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, 250 ათასზე მეტი ადამიანი, იძულებული შეიქმნა სასწრაფოდ მიეტოვებინა მშობლიური სახლ-კარი და ლტოლვილად ქცეულიყო საკუთარ სამშობლოში.

სამხედრო დამნაშავეების მიერ სამოქალაქო თვითმფრინავების ჩამოგდებამ და გემების დაბომბვამ შეუძლებელი გახადა ქართული მოსახლეობის ორგანიზებული ევაკუაცია. მრავალათასიანმა მასამ გაქცევით სცადა გარდაუვალი სიკვდილისაგან დაღწევა. ასეულობით დევნილი, მეტწილად ჩვილი ბავშვები და ხანდაზმულები, შიმშილისა და სიცივისაგან დაიღუპა სვანეთის მთიან ბილიკებზე.

ცივილიზებული სამყაროს თვალწინ შეუნიღბავად ჩადენილ ეთნიკურ წმენდასა და გენოციდზე, რომელსაც მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა, აფხაზეთის შემზარავი ტრაგედიის ორგანიზატორებსა და უშუალო მკვლელებს პასუხი არავის მოსთხოვა.

ამა თუ იმ გარემოებათა გამო აფხაზეთში დარჩენილ ქართველთა გენოციდი დღესაც გრძელდება. ამჯერად, რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და საერთაშორისო დამკვირვებლების „მეთვალყურეობით".

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების უკიდურესად დამთმობი, კომპრომისული კურსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევისა, მშვიდობიანი გზით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელი ხდება.

აფხაზ სეპარატისტთა უტიფარ ვერაგობასა და თავხედობას საზღვარი არა აქვს. ყოველგვარი რეაგირების გარეშე ირღვევა გაეროს და ევროთათბირის რეზოლუციები. საერთაშორისო ორგანიზაციათა რეკომენდაციები ფარატინა ქაღალდად რჩება.

ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გადაუჭრელ პრობლემად იქცა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყოველივე, რაც აფხაზეთში მოხდა და ხდება: პროვოცირებული ომი, მკვიდრი მოსახლეობის გეგმაზომიერი გენოციდი და გამიზნული განდევნა, სწორედ ტერიტორიის გამოთავისუფლებას, საბოლოო ჯამში კი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ისახავდა მიზნად.

ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ავტონომიური წარმონაქმნის მოსახლეობის უმცირესობის (17 პროცენტი) მიერ უმრავლესობის (44 პროცენტი) აწიოკება და საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნა მართლაც უპრეცენდენტო მოვლენაა ცივილიზებული სამყაროს ისტორიაში. რა თქმა უნდა, გარეშე ძალების აქტიური ჩარევისა და ქმედითი დახმარების გარეშე ერთი მუჭა სეპარატისტები გამარჯვებას ვერ იზეიმებდნენ.

აფხაზეთის „ომი" ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული და სამარცხვინო ფურცელია საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან მატიანეში. განცდილმა მარცხმა უმძიმესი დაღი დაასვა დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოს იდეას, ეროვნულ ცნობიერებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „აფხაზური სინდრომი" ბუმერანგივით შეუტრიალდა სეპარატისტთა მხარდამჭერებსა და წამქეზებლებს. ხვალ კი შესაძლებელია არამარტო რუსეთის, არამედ ზოგადსაკაცობრიო ტრაგედიის მიზეზი გახდეს.

სამშვიდობო ხელშეკრულებების და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევები, ეთნიკური წმენდის მასშტაბები და მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი ყველასათვის ნათელს ხდის, სახეზეა არა მხოლოდ აგრესიული, არამედ უპირველეს ყოვლისა, ფაშისტური, დანაშაულებრივი სეპარატიზმი.

აფხაზეთიდან დევნილ უდანაშაულო და დაუცველ ადამიანთა მოთმინების ფიალა აივსო. მოსალოდნელია მოვლენათა უმართავი სტიქიური განვითარება, რაც დიდ სისხლის დაღვრასთან იქნება დაკავშირებული. დროა, საქართველოს და სამშვიდობო მისიით აღჭურვილი რუსეთის ხელისუფლება, გაერო და საერთაშორისო ორგანიზაციები მივიდნენ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ დამნაშავეებთან მოლაპარაკება სასიკეთო შედეგს არ გაიღებს.

საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვა უპირატესად სახელმწიფოებრივი მოვალეობაა. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ აურაცხელ მამხილებელ ფაქტზე დაყრდნობით სანქცია უნდა გასცეს იმ ფაშისტური რეჟიმის თავკაცების წინააღმდეგ, რომლებმაც აფხაზეთი დამნაშავეებისა და დაქირავებული მკვლელების ბუდედ აქცია.

აფხაზეთის შემზარავი ტრაგედიის ორგანიზაციები და უშუალო მკვლელები ჯერ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს, შემდეგ კი საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე უნდა წარდგნენ. აგრესიული, ფაშისტური, დანაშაულებრივი სეპარატიზმის აღკვეთა არამარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი გარანტი გახდება.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 5 აგვისტოდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	963, 301. 48	კუპონი
ავსტრიული შილინგი	133, 523. 72	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2, 074, 540. 30	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	456, 750. 06	კუპონი
გერმანული მარკა	939, 169. 58	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	838, 224. 06	კუპონი
დანიური კრონი	241, 634. 73	კუპონი
100 იტალიური ლირა	81, 736. 21	კუპონი
კანადური დოლარი	952, 240. 41	კუპონი
ნორვეგიული კრონი	211, 898. 52	კუპონი
აშშ დოლარი	1, 300, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	309, 928. 26	კუპონი
ფრანგული ფრანკი	271, 919. 86	კუპონი
შვედური კრონი	183, 466. 74	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	1, 130, 141. 20	კუპონი
10 იაპონური იენი	147, 527. 13	კუპონი
ეკიუ	1, 744, 470. 15	კუპონი
10 ესპანური პესეტა	109, 226. 56	კუპონი
10 ბერძნული დრაჰმა	57, 917. 14	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2, 133, 168. 67	კუპონი
ისლანდიური კრონი	20, 738. 02	კუპონი
ქუვეიტური დინარი	4, 331, 889. 22	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	8, 047. 90	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	90, 197. 28	კუპონი
სინგაპურული დოლარი	933, 305. 56	კუპონი
10 თურქული ლირა	289. 22	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	382, 802. 04	კუპონი
რუსული რუბლი	251. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	276, 413. 75	კუპონი
ლატვიური ლატი	2, 151, 080. 04	კუპონი
ესტონური კრონი	99, 845. 29	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	717. 86	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	20, 569. 45	კუპონი
მოლდავეთის ლეი	243, 836. 46	კუპონი
ყირგიზეთის სომი	105, 000. 83	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	1, 021. 57	კუპონი
უზბეკეთის სუმი	35, 898. 02	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	251. 00	კუპონი
სომხური დრამი	2, 708. 29	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

სკოლა

დავარქვათ ფსიქოლოგს მკურნალი?

დღევანდელ რთულ, დაძაბულ ყოფაში ადამიანი ხშირად ემორჩილება ემოციებს. აუცილებელია რამდენადმე მაინც განვიმუხტოთ სულიერი დაძაბულობისაგან და შედარებით იმედიანად შევხედოთ მომავალს. ვინ დაგვეხმარება ამაში, თუ არა ფსიქოლოგი?

ფსიქოლოგიას ჩვენში სოლიდური ისტორია აქვს, მაგრამ დიდი დრო დაგვჭირდა, რათა საზოგადოება დარწმუნებულიყო მის აუცილებლობაში. რამდენიმე წელიწადია, ფსიქოლოგია შემოიღეს ჩვენს სკოლებში, როგორც შესასწავლი საგანი.

თინათინ მინდაძე სულ ახლახან მივიდა სკოლაში — ფსიქოლოგიის მასწავლებლად.

— რამდენად შეიძლება დავარქვათ ფსიქოლოგს მკურნალი?

— ფსიქოლოგის ძირითადი მიზანია ადამიანს აპოვნინოს თავისი თავი, ჩაახედოს თავის შინაგან სამყაროში, დაანახოს მას ამ სამყაროს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, დაეხმაროს წინააღმდეგობათა დაძლევაში და თავისი შესაძლებლობების რეალიზებაში, ასევე, გაადამიანურებასა და განწმენდაში. ყველა ადამიანში არსებობს უამრავი პაწაწინა „მე". ერთ მომენტში ერთი „მე" მოქმედებს, სხვა მომენტში — მეორე. ეს „მეები" მრავალია და ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. პიროვნება აბსოლუტურად იმართება გარეგანი ფაქტორების მიერ, მას არ შეუძლია მართოს საკუთარი ემოციები. ადამიანი გაორებულია, ის უამრავ მიკროსტრესს იღებს გარემოდან. ხშირია შეუსაბამობა მის შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს შორის. ამის გამო იშლება ფსიქიკურად და აქედან გამომდინარე, ფიზიკურადაც. მაგრამ თუ ადამიანმა ფსიქოლოგის დახმარებით ისწავლა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეების გაკონტროლება და მართვა, მაშინ იგი ჰარმონიულ, თავისუფალ და ჯანსაღი ფსიქიკის პიროვნებად იქცევა.

— ფსიქოლოგი, როგორც თქვით, ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. როგორ შეიძლება გამოიყვანოთ ადამიანი სტრესული მდგომარეობიდან?

— ნებისმიერ შემთხვევაში, რა მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობაშიც უნდა იმყოფებოდეს პაციენტი, ფსიქოლოგის ძირითადი დანიშნულებაა შთააგონოს მას, რომ იგი უზარმაზარი ენერგიისა და შესაძლებლობების პატრონია, რომ თვითონ არის თავისი თავის მფლობელიც და მკურნალიც. ფსიქოლოგი მხოლოდ შინაგანი სამყაროს გახსნაში, ამ სამყაროში მოძიებული უნიკალური შესაძლებლობების გამოყენებაში და საკუთარი თავის ფლობაში ეხმარება მას. ეხმარება პაციენტს თავი დააღწიოს გაორებულობას და მექანიკურობას, დაინახოს თავი ისეთად, როგორიც სინამდვილეში არის. ფსიქოლოგი მხოლოდ დამხმარეა, პაციენტი თვითონ უნდა ახდენდეს თვითგანკურნებას. თუ პათოლოგიურ შემთხვევებთან გვექნება საქმე, მაშინ ნევროპათოლოგის ან ფსიქიატრის ჩარევა ხდება საჭირო.

— რამდენად სწამთ ჩვენში ფსიქოლოგის?

— საქართველოში პრაქტიკული ფსიქოლოგია. პირველ ნაბიჯებს დგამს და, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის გასაკვირი, თუ უმრავლესობას არ სჯერა მისი. რას ვიზამთ, დრომ და თვითონ ფსიქოლოგების მონდომებამ უნდა დაანახოს ხალხს მისი აუცილებლობა და საჭიროება.

— სულ ახლახან ფსიქოლოგიის სწავლება დაიწყო სკოლაში. თქვენ, როგორც ამ საგნის სპეციალისტი, რით ხსნით ამას?

— მოგეხსენებათ, საზღვარგარეთის ქვეყნებში ადამიანთა ფსიქოლოგიური წვრთნა ფართოდ არის გავრცელებული. ჩვენთანაც დროის მოთხოვნამ წარმოშვა მისი შესწავლის აუცილებლობა. სკოლაში სულ რამდენიმე წელია, ფსიქოლოგის შტატი დაუშვეს. ახლა ყველა ხედავს, რამდენად აუცილებელია ამ პროფესიის ადამიანის მუშაობა როგორც ბავშვებთან, ისე მასწავლებლებთან. სკოლაში ფსიქოლოგი ძირითადად მოზარდებისა და მოზრდილების ურთიერთობას არეგულირებს. ცდილობს, გახსნას ორივე მხარე. პედაგოგებს მოუწესრიგოს ბავშვებთან მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, ჩაიხედოს თითოეული ბავშვის სულში უფრო ღრმად, რათა ინდივიდუალურად იმუშაოს თითოეულ მათგანთან და ხელი შეუწყოს მათ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ხოლო ბავშვები მიაჩვიოს, უფრო გულისხმიერნი იყვნენ პედაგოგისა და მისი შრომისადმი. ფსიქოლოგი ეხმარება პედაგოგს ბავშვებთან ავტორიტეტის შენარჩუნებაში, იმაში, რომ მუშაობის პროცესი ორივე მხარისათვის სასურველი და სასიამოვნო იყოს.

— როგორ შეეთვისენ ახალ საგანს მოსწავლეები?

— ალბათ, როგორც ყველაფერ ახალს, ფსიქოლოგიის სკოლაში დამკვიდრებასაც დრო დასჭირდება. მომავალში კი ამის მეოხებით ფსიქოლოგია თავის ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს საზოგადოებაში.

წინა წლებთან შედარებით უკვე შეიმჩნევა ფსიქოლოგიისადმი ინტერესის ზრდა, თუმცა ჩვენდამი უნდობლობაც არ კლებულობს და ფსიქოლოგების თავდაუზოგავი შრომა არის საჭირო იმისათვის, რომ უნდობლობის კედელი გაირღვეს და ფსიქოლოგი კი არ მიდიოდეს პაციენტთან, ინდივიდთან, პირიქით, თვითონ მას აკითხავდნენ.

— რას იტყვის ფსიქოლოგი ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაზე?

— ცნობილი რუსი ისტორიკოსის ს. სოლოვიოვის აზრით, სახელმწიფო საჭიროა არა იმისთვის, რომ დაამყაროს სამოთხე, არამედ იმისთვის, რომ თავიდან აგვაცილოს ჯოჯოხეთი. დღესდღეობით ქართველებს ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცათ. ერთი შეხედვით, მდგომარეობა თითქოს უიმედოა, მაგრამ ეს ალბათ ერთი შეხედვით. ფსიქოლოგს პესიმიზმის უფლება არა აქვს. მე მჯერა საქართველოს ნათელი მომავლის. განწმენდა ტკივილის გარეშე შეუძლებელია. ჩვენც უნდა გავუძლოთ ტკივილებს და ვიწამოთ, რომ უდიდესი გამოცდის გავლის შემდეგ, რაც უზენაესმა განგებამ თუ ბუნების კანონზომიერებამ მოგვივლინა, ახალი საქრათველო დაიბადება.

ესაუბრა

ნათია მკურნალაძე,

ნ. ირბახის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

რუბრიკის პრემიერა: რაც რელიქვიად ქცეულა

მახსოვს „ცისფერი საღამოები"

ამბავი ორმოციანი წლების მეოცნებეთა

—„ცისფერი სალამოების" ავტორი თინა ჯიბლაძე იყო, ერთი მეოცნებე, გულგანათლებული ქართველი ქალი, ქართული საბავშვო ლიტერატურის მკვლევარი, მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ღირსეული მუშაკი.

ოცდაათ წელზე მეტია, რაც იგი ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ მისი სახე და სახელი დარჩა მარადის მეგობარ-ახლობელთა ხსოვნაში, პოეზიაში...

„ეს არის ჩემი მეგობრის სული,
თრთის და ციმციმებს, კრთება ნამივით.
აცვია თეთრი, სპეტაკი კაბა,
ხელში უჭირავს თეთრი ყვავილი",

ასე მისტირის მეგობრის გაფრენილ სულს ანა კალანდაძე. 1966 წელს დაწერილ ამ ლექსს მეორეც დაუწყვილდა:

„დღეს მარტოდმარტომ მოვიხილე
თეთრი ქაშვეთი...
შენ შორეული, შორეული
ჩემს წინ გაჩერდი
და გამიღიმე: სიხარული
ისევ გფენია...
იის სურნელი ხაით მოგყვა,
თეთრო ფერიავ,
ო, თმებიც შენი ოქროსფერი —
იით ავსილა...
წამოდი,
დავსხდეთ, —
თბილი სიტყვა
ისევ მასმინე..."

მართლაც, რა ტკბილმოუბარი იყო თინათინ ჯიბლაძე, ძირძველი ქართული ოჯახის შვილი. დედა — ნინო უსათნოესი მანდილოსანი, მამა — გერონტი — ჩუმი, მეგნობარი კაცი. პაპა ილო შინჯიაშვილი — ხალხური მთქმელი, 106 წლისა რომ გარდაიცვალა. ოჯახის მფარველად მესახებოდა თამარ მეფის ხატება! ეს ჩემი მეგობრის — ნათელა ჯიბლაძის ოჯახიც იყო, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ერთ უბანში ვცხოვრობდით, — ისინი მახარაძის პირველში, მეც იქვე — ენგელსის ქუჩაზე. ხშირად, ხშირად ვიყავით ერთად. ამ ერთობას პოეზიისადმი დიდი სიყვარულიც განაპირობებდა. მათ ჭერქვეშ ვეზიარე პირველად ნინო თარიშვილის უკვე აკრძალულ ლექსებს, რომლებიც გადაწერილი ჰქონდა თინას — მან იცოდა პოეტი ქალის საყვარელი ყვავილი, იცოდა მისი საყვარელი ფერი და თვითონაც მოსწონდა ყავისფერი კაბა... მის დღიურებში დღემდე შემორჩა 1926 წელს გამოცემული ნინო თარიშვილის ლექსების წიგნის ყდა — „მზემი", რომელსაც ცოტახანს ეწერა სამზეოზე ყოფნა... ამ ჭერქვეშ ვეზიარე ანა კალანდაძის პირველ დაუვიწყარ ლექსებს, რომლებსაც ხელნაწერის საშუალებით ვავრცელებდით მერვე-მეცხრეკლასელი გოგონები...

„ცისფერი სალამოები", მცირე ლიტერატურული სალონი, ომისდროინდელი თაობის სულიერი ნავსაყუდელი იყო. რელიქვიად შემორჩა ოჯახში თინათინისეული ალბომი (მის მიერვე ჩაწერილი ანას ომარ ხაიამით რომ იხსნება) სალონის წევრთა ავტოგრაფებით, რენო თურქიას და თინას ჩანახატებით (ორივე და კარგად ხატავდა, დედით მოსდგამდათ ეს ნიჭი). სამხატვრო აკადემია დაამთავრეს ჯერ თინას თანატოლმა დეიდაშვილმა — მომხიბვლელმა რუსუდან მჩითავიშვილმა, მერე კი ჩვენმა თანატოლმა დამ ჯოკონდასებური იდუმალი ღიმილით გაშუქებულმა ციალამ. ამ ოჯახში მოდიოდა ის, ვისთვისაც ლექსი იყო ყველაზე მაწიერი საზრდო.. მახსოვს ფრონტიდან ახალდაბრუნებული ფარაჯიანი ჭაბუკი — მიხვდებით ალბათ, დიახ, მურმან ლებანიძე, მახსოვს „ტირიფების მგოსნად" მონათლული, დიდთვალება ოთარ ჭელიძე. მაღალი, ლამაზი ვაჟკაცი კოტე ჩოლოყაშვილი, მშვენიერი ლირიკული ლექსების ავტორი — ქეთო ქავთარაძე და მერე შეწყვილდა კიდეც მათი სახელები. ქეთო და კოტეც მოვიდნენ, — მიეხალისებოდნენ ხოლმე თინას მოსაგონრად შეკრებილი ძველი მეგობრები, რომელთაც დღემდე წესად აქვთ 12 იანვარს, თინაობა დღეს ჯიბლაძეებთან თავშეყრა. მახსოვს მარი აბრამიშვილი, ციალა სიმონიშვილის სიმღერა... ნაადრევად გამოაკლდა თანატოლებს ციალა. მეხივით გავარდა მარი აბრამიშვილის დაპატიმრების ამბავი, მერე კი ვახტანგ კეკელიძის თვითმკვლელობა...

„წავიდა ის დრო, როცა ნუგეში
მწუხრის უბეში იმედად მსდევდა,
ეხლა არ დამრჩა აღარც ხალისი,
არც ნოვალისის ცისფერი სევდა",—ტირის მარი...

ლექსი ლექსს მოსდევს:

„დამბლებული უკანასკნელ სიმღერას ვბედავ,
დღეს ჩემი ყოფნა უნდა ლექსის ნისლით შევბღალო,
ვინ მცეს ნუგეში, ვინ მიშველის,
ვის ვუთხრა დედა,
ვის, ვის შევბღავლო?!"

სასოწარკვეთილი, 22 წლის მარი აბრამიშვილი თანამოკალმეებსაც ეხმიანება: „ძმებო, მგოსნებო! ჩანგის ნაცვლად, საკანი გველის!" ერთი ძმათაგანი შალვა მჭედლიშვილი იყო, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, გაბედული ლექსების ავტორი... მარისთან ერთად დააპატიმრეს ისიც და პეტრე გრუზინსკიც, ბაგრატოვანთა გვარის ჭაბუკი პოეტი, რომელსაც მხოლოდ მოყვარულთა სცენაზე ხვდა წილად უფლისწულობა—მიზეზი ხელნაწერი ჟურნალი „ანათემა" — სხვა ლიტერატორთა ორგანო.

ისევ მყუდრო და ულრუბლო ცისფერ საღამოებს დავუბრუნდეთ: მე, ნათელა და ჩვენი მესამე მეგობარი ლამარა ცეცხლაძე, როგორც უმცროსებს შეფერის, მოკრძალებით, შუშაბანდიდან ვუსმენდით ხოლმე ახლადშობილი ლექსის სტრიქონებს:

„აი ეს ქუდი, ქართველი
მეომრის სინდის ნამუსი,
აი, ამ ქუდით მოვბრუნდი,
ჩემს სათაყვანო მამულში.
აი, ეს ქუდი მფარავდა,
აი, ეს ქუდი მეხურა
კრასნოდართან და კლუხორთან
მტერს რომ ვუტევდი ვეფხურად"

და დღემდე წმინდად და პატიოსნად ატარებს ნამუსის ქუდს მურმან ლებანიძე, ფრონტიდან ჩამოსულმა თანაკურსელებს რომ მიაკითხა უმალ., ჭრილობის გარდა, სევდაც ჩამოჰყოლია პოეტს.

„აი ეს ქუდი მექნება ვიდრე ჩამიტანს მიწა მეო",

და ბოლოს:

„მწამს, რომ ზედ მაინც დარჩება
წელთა სვლით ნაფერმკრთალევი
წინწკლები სისხლის და შუქი
ლენა გორლოვას თვალების".

ასე გამოეთხოვა პოეტი თავის ფრონტულ სიყვარულს და მერე ისევ ლენასთან, ოღონდაც მშობლიურთან, ოღონდაც ჭავჭავაძის ასულთან შეახვედრა ბედმა. ის იქცა მისი პოეზიის მარადიულ მუზად: („გაზაფხული შემოსულა, ლენა"). 1943 წლის ივნისში შეთხზული ფრონტული ლექსი 1944 წლის 16 ივლისსს ჩაუწერია თინა ჯიბლაძის „სიყვარულის წიგნში" (ასე ვუწოდებდი მე მას) მურმან ლებანიძეს. იმავ წლითაა დათარიღებული მომღერალი მეგობრისადმი მიძღვნილი ლექსი:

„მე მინახია თვალებს რომ ხუჭავს
და სიყვარულზე მღერის ბულბული.
სალამო იდგა სარკმლებთან ლურჯად
და შენ გისმენდი სულშეგუბული.
ტარა-ტინტარა, მღერდა გიტარა,
ჩემს გულთან ერთად აჟღერებული
აანთე შუქი და თვალი დაგრჩა
წამწამთა ეშხით დამშვენებული...
მაგრამ ო, კმარა მე ბევრი ვიცი,
ზის და ჭორების ბადეებს ართავს,
არვინ დამწამოს სხვა ცოდვა იჭვით
და „ხათაბალა" არ გახდეს მართლაც.
ო, არ იფიქრონ სხვა რამ სურვილი
ბოროტის გრძნობით გულს გავიტარო.
თუ მათრობს მარის ლექსის სურნელი
და ეშხიც მათრობს შენი გიტარის,
მე ბევრი რამე მიტაცებს კიდევ,
ამ ცის დარიც და უამინდობაც,
შენი ბავშვური მიამიტობა,
და ზეინაბის უმწიკვლო დობა"...

ზეინაბ თურქაძეც „ცისფერსალამოელია". ეს მეგობრობა რომ წმინდად შემოინახა მურმან ლებანიძემ, 1977 წელს გამოცემული მარი აბრამიშვილის „ლირიკის" წინასიტყვაობიდანაც ჩანს: მისი ლექსი ბედნიერებას მანიჭებსო... ყველა როდია ეგოდენ გულახდილი.

აქვე, ამ „სიყვარულის წიგნშია" 1944 წლის ივლისში ჩაწერილი მარის ლექსები „კიბე", „ლ. შ. ვ-ს".

„არ მინდა თქვენთან ხანი დავყო გადამეტებით,
წავალ... დაგტოვებთ... თან წამყვება აზრთა ქაოსი...
ამ ცოდვილ გულში ყველა ერთად ვერ დამეტევით
და არც მიწა მაქვს ერთად სამი სასაფლაოსი!
წავალ... დაგტოვებთ და ეს გული დანაღარები,
ამაყ სულიდან ჩამოიტანს ყოფნის ნარჩენებს, —
მაგრამ წუთები — საუკუნეს დანადარები
შენი სიცოცხლით კიდევ ერთხელ გადამარჩენენ!"

ესეც წინათგრძნობა იყო? წავალ, დაგტოვებთო, ყოფნის ნარჩენებსო — მარი ხმიერობს, მარი გაწირეს, და ვინ? ეს ფიქრი მას სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ დაეხსნება... აქვეა „ციცინათელა" — „ციცინათელასავით ბნელში კიაფობდი" (1944 წ.) — „ციცინათელა" დაარქვა პოეტმა პირველ წიგნს (1957 წ.).

კვლავ გადავფურცლოთ დიდი ალბომი:

„სალამო ვნებით თრთოდა ქედებზე,
ცამ ვარსკვლავები შემოიჭედა,
და მტკვრის მორევში მთვარე-მეთევზე
სხივების ბადით ლანდებს იჭერდა.
ნიავს მოჰქონდა ღრუბლის ნახევი
და შლიდა ცაზე ზღაპრულ ვენახებს,
მე კი შენს თმებში მსურდა გახვევა,
რომ თვით მთვარესაც ვერ დაენახე".

1944 წლის 25 ივლისს ჩაუწერია ეს ლექსი ვახტანგ კეკელიძეს, ცისფერთვალება ჭაბუკს, ნაზიმ ჰიქმეთის ჩინებულ მთარგმნელს...

აქვეა მიშა ქვლივიძის „თითქოს მოიხსნა ბედმა პირბადე", „ბეთანიაში". შავი თოვლი წამოელანდება შალვა მჭედლიშვილს და მერე ხომ მართლა მოუწევს სათოვლეთში შავი დღეების გატარება: „ო, ჩემო სიყრმევ, რარიგ მკრთალად, მკრთალად იალე, ვცოცხლობდი მართლა თუ სიზმართა გზა გავიარე"... და უცბად ჭაბუკური ლირიკა: „გისმენდი, თრთოდა უცნაური ხმით აკორდები, სევდაც ტკბილია, სევდაც, როცა შენზე ვღონდები"... „სიყვარული" ვახტანგ გორგანელის ლექსია — სიყვარულის ასაკში იყვნენ ყველანი...

ალავერდივით გადადიოდნენ ერთმანეთთან ლექსებს „ცისფერ სალამოებზე". ხანდახან ვარდი ეკალსაც მოიშველიებდა, გალექსვაში ზოგჯერ გაკენწლავდნენ, ხანაც გაეხუმრებოდნენ ერთმანეთს. მარი აბრამიშვილის „ეჰეი, განგებაოს", გამო გამოუთქვამს ექსპრომტი მურმან ლებანიძეს 1944 წლის მიწურულში.

„თუმც მეც მათრობდა ძვირფასი მარი
ერთ დროს მაგ თვალთა ნაკამკამარი,
მაგრამ აროდეს არა ვყოფილვარ
შენთვის — რაც შოთა იყო თამარის"...

ამ ლექსს კომენტარებიც ახლავს როგორც ძველი, ისე ახალი, მაგრამ ეს ამ ალბომის საიდუმლოა...

„ტირიფების სიხარული ვიცი
და მერცხლების დამღერილი ნანა;
ვიცი, ვარდი წითლად რატომ იწვის,
ვიცი, დილა ქარაფს რათა ნამავს".

გახსოვთ, ოთარ ბატონო ადრეულ გაზაფხულზე დაწერილი ეს ლექსი? ანდა: „ვარდები, პეპლები, ტყემლები, ყვავილი ალუბალისა; გახელებული შემოგევლები და ნუ გამრისხავ, უარი, ბეჭედი, ცრემლები, ტირილის დუეტი, ბალახისავით მოვიცილები უარს თუ მეტყვი?..." „ქრის მარტი, კვიმატი, სიმარტოვეა". ეს ოთარ ჭელიძის სტრიქონებია, მისივე ხელით ჩაწერილი. და კიდევ, რაც ძალზე საინტერესოა (1945 წლის 21 იანვარს) ორი აფხაზური ლექსი „აშით" და უსათაურო ქართული ანბანით ჩაწერილი ავტორის მიერ. მეორეზე მკაფიოდ: **ბაგრატ შინქუბა. ქართ.** (ე. ი. თბილისი).

უცბად „ნაცნობი" მოწაფური ხელნაწერი... თინა ჯიბლაძის თხოვნით ჩაწერილი ჩემი ლექსები „მითხარ როდემდის", „მისი ღიმილი", ...„მე ხომ შენმა თვალთა ეშხმა დამანელა" (1946 წ. 13 მაისი, 5 ივნისი), ერთს ბესიკის სტრიქონი უძღვის ეპიგრაფად: „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა". რა ლამაზი გირლიანდებით შეუმკია ისინი თინა ჯიბლაძეს. ასეთი ბოლოსართები ნებისმიერ კრებულს დაამშვენებდა. 1952 წლის ივნისის რვაში ჩაწერილ „მაგნოლიასთვის" კი ნაზი კილასონიას მიუწერია:

„ჩვენ ხომ ერთად წაგვიყვანა
სიყვარულის აგონიამ,
თავი გტკივა? ნანა... ნანა...
ჩემო თეთრო მაგნოლია".

რა მტკივნეულია ახლა, მისი უდროო სიკვდილისა და მისი ორი ვაჟკაცის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ეს რამდენიმე უსათაურო ლექსი:

„ხეივანს ქარები სწეწავენ,
მატირებს ჩივილი ფოთოლთა...
იცი კი, რაგვარად ვეწამე
რაგვარად ავზიდე გოლგოთა?"

ანდა:

„შენი თვალების დაღლილი ეშხი
თან გამყვა როგორც ლურჯი ლილილო, —
მე მხოლოდ ბავშვი მიყვარდა შენში
და აღარ მინდა კაცად გიხილო".

რა ახალგაზრდები ვიყავით მაშინ!... გოლგოთა კი თურმე მართლა ელოდა სიკვდილის მერეც.

„მთვარეს ქარებში ასაფლავებენ,
იქნება ჩვენი კუბოც გათალონ,
ამ მიჯნურობის ცეცხლით დავებათ
ტირის ფათალო...

...ნუ მიმატოვებ, ნუ მიმატოვებ — პოეტის პირით მოთქვამს ფათალო...

როგორ არ გავიხსენო ჩვენი საერთო მეგობარი, ლექსის შეუდარებელი მეჯაშნიკე და მკითხველი ნოდარ ალანია! აი, მისი სიტყვებიც:

„ჰაუ! რაც გინდა ჩაწერეო... რა ჩავწერო? იცი რა? მიყვარს, ვუყვარვარ, მიხარია და უხარია...

მაგრამ?

მაგრამ მაინც ვიცრიცები..." (1959 წლის 2 აპრილი).

და მართლაც, ნაადრევად გაიცრიცა და გაილია...

„ვართ და ვიქნებით" — მასვე ჩაუწერია მოშორებით.

ადამ ბობლიაშვილის ლექსიც არის აქ: „არხევს წამწამებს ცა ფირუზი". ამ ლექსში მისი ხასიათის გამომხატველი ორი სტრიქონი იქცევს განსაკუთრებით ყურადღებას:

„გაშლილ ჭიუხში ჯანღი მძიმედ მოიპარება,
ბახტრიონიდან დამარცხებულ ზელიმხანივით"...

მერე კი ისევ და ისევ ის პოეტური ქმნილებები, მაშინვე რომ გავიზეპირეთ და ავამღერეთ, — მოდიოდა ანა!... მოგვიანოდ ჩაწერილი სხვათა ლექსები და ცარიელი ფურცლები...

„თინა, ძვირფასო! შენს საყვარელ დაიკოს ვთხოვე ეს რვეული 44 წლის შემდეგ... ეს ჩვენი სტუდენტობისდროინდელი მატიანე. ასე ნაადრევად და უღვთოდ რომ არ ჩავფერფლილიყავ, ამდენი ცარიელი ფურცელი არ დარჩებოდა. ხოლო ჩემი ჩანაწერები უფრო ადრე, 1945 წლის 27 მარტიდან შეწყდა ამ რვეულში, როცა 22 წლისას სიცოცხლე შუაზე გამიწყვიტეს", — მიუწერია ლამაზი ხელით 1989 წლის აგვისტოში მარი აბრამიშვილს.

„შენ ერთადერთი შემორჩი
ცისფერ სალამოებს.
გახსოვს? რამდენი მელოდე,
მაგრამ აღარ მოველ.
მაინც არ დაღონებულხარ —
შენ რა დაგაღონებს.
შენ მხოლოდ ღიმილი გიყვარს
და ის გალამაზებს,
შენ მხოლოდ ლექსები გიყვარს
უსმენ, განა დაწერ...
უსმინე, გესმის? კვლავ მღერის
ანა კალანდაძე..."

ასე, ლექსების სმენაში გაილია თინათინ ჯიბლაძის წუთისოფელი. მის დღიურში საკუთარ ფიქრებს შორის, ეტიუდებს რომ უფრო ჰგავს და ფარული თანამოსაუბრეც ჰყავს, გადმოუწერია გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, დია ჩიანელის, იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანის, გიორგი ლეონიძის ლექსები, შიგადაშიგ მარის ლექსებიც არის.

...„ჩემი გვარი ყველგან წაშლილია, ალბათ ეშინოდათ, „ჩივის" იგი მოგვიანო მინაწერში. დღეს მისი ხმა ისევ ძალუმად ჟღერს, თუმცა ტკივილიან მოგონებებს ტკივილიანი სინამდვილე შეეჯახა და კვლავ შეძრა პოეტის არსება. ეს აშკარად ჩანს ბოლოდროინდელი ლექსებიდან, ხოლო წიგნი „მემახსოვრება თვით სიკვდილშიაც" (1992 წ.), მისი ცხოვრების მატიანეა.

ნანა ღვინეფაძე.
1995 წლის შუამთათვე.

სურათზე: თინა ჯიბლაძე და ანა კალანდაძე 1959 წელს.

სინამდვილე კი ასეთია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა

გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემებიც. ამ აღწერის მიხედვით აფხაზეთში 67494 ქართველი და 55918 აფხაზი ცხოვრობდა. ამასთან, 8920 აფხაზი ანუ თითქმის ყოველი მეექვსე მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა. შემდეგი აღწერების დროს გაცილებით ნაკლებმა აფხაზმა დაასახელა თავის მშობლიურ ენად ქართული. მაგალითად, 1979 წელს მხოლოდ 730 აფხაზისათვის იყო მშობლიური ენა ქართული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ აფხაზების დიდი უმრავლესობა, რომლებმაც მშობლიურ ენად ქართული დაასახელეს, ეროვნებით ქართველები იყვნენ. როგორც ჩანს, აფხაზეთის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ქართველების აფხაზებად ჩაწერას გარკვეული მოსაზრებებით შეუწყო ხელი, თუმცა შემდეგ, როდესაც აღწერაში აფხაზების რაოდენობა გადიდებულად დააფიქსირეს, რაც მათთვის მთავარი იყო, აღნიშნეს: რამდენიმე ათასმა კაცმა მიათვალა „თავი აფხაზ ეროვნებას", თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული" (ნ. ლაკობა). ამდენად, თუ ვიგულისხმებთ, რომ ამ ქართველების სულ ცოტა ნახევარი მაინც შეგნებულად აფხაზ ეროვნებას დაუმატეს, მაშინ 1926 წელს აფხაზეთში 71954 ქართველი და 51458 აფხაზი ცხოვრობდა. მართალია, შემდეგ წლებშიც ჰქონდა მოსახლეობის აღწერების დროს მონაცემთა ხელოვნურად შესწორებებს ადგილი, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბებში. მაგალითად, მოსახლეობის 1989 წლის აღწერის დროს აფხაზების რაოდენობა ყოფილ საბჭოთა კავშირში ჯერ 102,9 ათასი კაცი უჩვენეს (მათ შორის: აფხაზეთში 90713 კაცი), ხოლო შემდეგ 105,5 ათასი კაცი (მათ შორის: აფხაზეთში 93267 კაცი). როგორც ჩანს, იმის გამო, რომ აფხაზების წილი ამაღლებულიყო აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში, აქ მცხოვრები აფხაზების რაოდენობა ხელოვნურად 2554 კაცით გაზარდეს. შესაბამისად, ასევე ხელოვნურად შეამცირეს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობა — 242,3 ათასიდან 239,9 ათას კაცამდე.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს მიერ ზემოთ გაკეთებულ კორექტივებს ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მაშინ აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისა და აფხაზების რაოდენობა აღნიშნულ წლებში შემდეგ სურათს მოგვცემს:

	1886 წ.	1897 წ.	1926 წ.	1939 წ.
ქართველი	34806	44882	71954	91967
აფხაზი	28320	39500	51458	56197

ამდენად, 1886 და 1897 წლებში აფხაზების მოცემული რაოდენობა უაღრესად ზუსტ მონაცემად მიგვაჩნია. მართლაც, თუ ოფიციალური მონაცემით 1877 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობა 75,7 ათასს უდრიდა და აქედან დაახლოებით 40 ათასს აფხაზები შეადგენდნენ, მაშინ ასევე ოფიციალური მონაცემებით თურქეთში 31 ათასი აფხაზი გადასახლდა, მაგრამ დაახლოებით 18 ათასი უკან დაბრუნდა. ამრიგად, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ აფხაზებში ბუნებრივ მატებას მცირედ, მაგრამ მაინც ექნებოდა ადგილი, მაშინ 1886 წელს საოჯახო სიებით აღრიცხული 28 ათასი აფხაზის რაოდენობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე, ასევე კანონზომიერად ჩანს და არავითარ ეჭვს არ იწვევს ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 40 წლის მანძილზე — 1886-1926 წლებში.

აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობასაც ქართველები შეადგენდნენ. მაგალითად, ამავე საოჯახო სიების მონაცემებით **1886 წელს სოხუმში სამი აფხაზი ცხოვრობდა: ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, ასევე ოჩამჩირეში 1886 წელს მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. გუდაუთის მოსახლეობაშიც ქართველები ჭარბობდნენ.** მაგალითად, ცნობილი ეთნოგრაფი თედო სახოკია, რომელმაც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე იმოგზაურა აფხაზეთში, გუდაუთის მოსახლეობის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „გუდაუთი საკმაოდ მოზრდილი დაბაა აფხაზეთში, შიგ 172 კომლი (1117 სული) მცხოვრები [illegible] ვლება სხვადასხვა ეროვნებისა. მათ შორის რიცხვით, როგორც ყველგან აქეთკენ, პირველი ადგილი უჭირავს ქართველებს — 356 სული, შემდეგ რუსებს (242 სული), მერე მოყვებიან ბერძნები (133 სული), სომხები (132), აფხაზები (87 სული), ლაზები (32) და სხვ."

აღსანიშნავია ისიც, რომ გაგრა და მის მიმდებარე ადგილებში გასულ საუკუნეში მოსახლეობა მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობდა. როგორც კავკასიის სამედიცინო საზოგადოების მიერ გამოცემულ კრებულშია აღნიშნული, 1830 წლამდე, რუსის ჯარის აქ მოსვლამდე, ეს ადგილები, ცნობილი მიზეზების გამო, მთლიანად დაცარიელებული იყო. ადრეულ საუკუნეებში ამ ადგილებში ცხოვრობდა ქრისტიანული მოსახლეობა, რასაც ადასტურებს გაგრაში საკმაოდ კარგად შენახული ქვის ტაძარი. **1866 წელს გაგრაში ძირითადად ქართველები და ბერძნები ცხოვრობდნენ. ამ პერიოდში აფხაზ მოსახლეობას გაგრაში არ უცხოვრია.**

აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას ზოგჯერ მეტად კურიოზულ ციფრებსაც ასახელებენ. მაგალითად, მოყავთ „კავკასიის კალენდრიდან" მხარის ადმინისტრაციის მონაცემები იმის შესახებ, რომ 1915 წლისათვის აფხაზთა რაოდენობა 111,7 ათას კაცს შეადგენდა. მაგრამ თუ სასურველობის სფეროს გავცილდებით, ჭეშმარიტებიდან მეტად შორს აღმოვჩნდებით. უპირველეს ყოვლისა, 1886, 1897 და 1926 წლების მოსახლეობის აღწერების ურთიერთშედარება მთლიანად გამორიცხავს იმას, რომ თითქოს 1915 წლისათვის აფხაზთა რაოდენობა 111,7 ათას კაცს უდრიდა. მეორეც, „კავკასიის კალენდარში" უშუალოდ არსად არ არის აფხაზთა რაოდენობა მითითებული. აქ მხოლოდ „კავკასიელი მთიელები" და სხვა აზიელი ხალხების ნაწილის გაერთიანების შედეგადაა მიღებული სასურველი რიცხვი. ყველაფერი ეს მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ, მთავარი მაინც ისაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, სამეცნიერო პაექრობის დროს კალენდრის მონაცემების დამოწმება, როდესაც მოსახლეობის აღწერების მონაცემები არსებობენ, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უხერხულია. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ „კავკასიის კალენდარში" მოტანილია მხარის ადმინისტრაციის მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ გზით მიღებული მონაცემები სრულად ვერ ასახავენ მოვლენებისა და პროცესების რეალურ სურათს. მაგალითად, 1977 წლის 16 იანვარი საქართველოს ისტორიაში საგანგებო დემოგრაფიულ თარიღად აღინიშნა. როგორც მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა გვაუწყებდა, ამ დღეს მისი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობამ მიაღწია და კიდეც გადააჭარბა ხუთ მილიონს. სინამდვილეში რესპუბლიკის მოსახლეობა ხუთი მილიონი, როგორც მოსახლეობის აღწერამ გვიჩვენა, ორი წლის შემდეგ — 1979 წელს გახდა.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის წარმომადგენლები განსაკუთრებული მონდომებით აღნიშნავენ მექანიკური მოძრაობის შედეგად აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ზრდის შესახებ.

მაგალითად, ს. ლაკობა მისთვის დამახასიათებელი საუბრის სტილით აცხადებს: ქართველებს უნდა რცხვენოდეთ იმისა, რომ აფხაზეთში ამჟამად აფხაზები 1 პროცენტს შეადგენენო. თუ აფხაზური ანდაზის ოდნავ პერიფრაზს გავაკეთებთ, როცა ქოცო მიგორავს, სარქველი ყოველთვის როდი მოერგება, რა თქმა უნდა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აფხაზეთის მოსახლეობა მექანიკური მოძრაობის მიზეზითაც იზრდებოდა, მაგრამ აქაც გვმართებს შემდეგი გარემოებები გავიხსენოთ. ჯერ ერთი, ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში იზრდება ბუნებრივი მატების შედეგადაც, მეორეც, 1926 წლიდან 1979 წლამდე აფხაზეთში ქართველების რაოდენობა გაიზარდა 72 ათასიდან 213 ათასამდე ე. ი. 2,9-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 7,5-ჯერ), სომხებისა — 25 ათასიდან 73 ათასამდე, ე. ი. 2,9-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 67-ჯერ), რუსებისა 1926-1970 წლებში — 12 ათასიდან 93 ათასამდე, ი. ი. 7,8-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 76,4-ჯერ). როგორც ვხედავთ, აქაც რაიმე უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ აქცენტი მაინც ყოველთვის ქართველების მიმართაა გაკეთებული. უფრო მეტიც, იმ ფაქტს, რომ აფხაზების წილი მთელ მოსახლეობაში დაბალია, მხოლოდ ქართველი მოსახლეობის მექანიკური მატებით ხსნიან, რაც არასწორია.

რადგანაც „ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია", შემდეგიც უნდა აღვნიშნოთ: [illegible]

ანზორ თოთაძე.
(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 77, 78, 79, 80-81, 82, 83, 85, 86, 90, 94, 95, 96.

რუბრიკა ახალგაზრდებისათვის: ჰოლივუდი

სად დაიკარგა ბავშვი, რომელსაც კამერის წინ კოცნის ერიდებოდა?

ჰოლივუდში მოდაშია ისეთი ფილმების გადაღება, რომელთა გმირებიც ბავშვები არიან. ეს კინომოყვარულთათვის, ალბათ ცნობილია. აქ, ერთი წლის განმავლობაში, შეიქმნა 18 ფილმი, რომლებშიც მთავარი გმირები ბავშვები არიან.

ის მშობლები, რომლებსაც მოზარდები — 8 წლიდან 15 წლამდე ჰყავთ, განსაკუთრებული ინტერესით უყურებენ და მოსწონთ ისეთი ფილმები, სადაც არ არის სექსი და ძალადობა. ამიტომ კომპანიებმა „უორნერ ბრაზერსი" და „XX საუკუნე — ფოქსი" — არჩევანი „ოჯახურ" ფილმებზე შეაჩერეს. აღსანიშნავია, რომ ბავშვები გულწრფელი თაყვანისმცემლები არიან ამ ფილმებისა, ხშირად რამდენჯერმე უყურებენ. სწორედ ამ აუდიტორიის წყალობით ხვდა არაჩვეულებრივი წარმატება ფილმს „მარტოდმარტო სახლში", რომლის მოგებამ 300 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

კალიფორნიაში მსახიობ ბავშვებს კუგანის კანონი იცავს — მშობლებმა ბავშვის მიერ გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი ცალკე ანგარიშზე უნდა გადარიცხონ. ამ თანხით ბავშვმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ სრულწლოვანების ასაკიდან, დანარჩენი 50 პროცენტი კი „მშობლების სინდისზე" რჩება.

ფილმი „მარტოდმარტო სახლში" მთავარი პერსონაჟის კევინის წყალობით მაკოლეი კალკინი ამერიკელების უსაყვარლესი გმირი გახდა. დღეს კალკინს ჰოლივუდში, ყველაზე ძვირადღირებულ კინოვარსკვლავთა შორის, მეხუთე ადგილი უჭირავს.

მიუხედავად მშობლების სიმკაცრისა, მაკოლეი იშვიათ უქნარად იზრდებოდა. სასოწარკვეთილმა მამამ 10 წლის თავხედი თეატრში ხელის ბიჭად მოაწყო. „შრომითი თერაპია" სასარგებლო გამოდგა მაკისათვის. და მან მთელი თავისი ენერგია ფულის შოვნისაკენ მიმართა. ახლომდებარე მაღაზიებიდან და რესტორნებიდან საჭმელი მოჰქონდა მსახიობებისათვის. დაიწყო ტრადიციული ჰამბურგერებით და გადავიდა ალკოჰოლური სასმელებით და სიგარეტებით მომარაგებაზე. (რასაკვირველია, ორმაგ ფასებში).

ერთხელ „მარჯვე ბიზნესმენი" თეატრის რეჟისორმა ერიკ ჯონსმა შენიშნა, გადაწყვიტა მაკოლეი სცენაზე გამოეცადა და პატარა როლი შესთავაზა ახალ კომედიაში, „რამდენს გადამიხდიან?" — ასეთი იყო მაკის პირველი შეკითხვა.

ბროდვეის თეატრის სცენაზე გამოჩენისთანავე პატარა ბიჭი — სწორი თმებითა და სასაცილო სახით — შეამჩნია მაყურებელმა. პირველსავე რეპლიკაზე მაკოლეი ისე დაიჭყანა, რომ მაყურებლები სიცილისაგან კინაღამ სკამებიდან გადმოცვივდნენ. „ნაპოვნი" ბიჭი ძალიან მოეწონა რეჟისორსაც და მომდევნო სპექტაკლში მაკოლეის მთავარი როლი მისცა. წლის დამლევს მაკი თეატრის წამყვანი მსახიობი გახდა.

1990 წლის მიწურულს, ჰოლივუდის ცნობილმა კომპანიამ „XX საუკუნე ფოქსი", პროდიუსერმა ჯონ ჰიუზმა და რეჟისორმა კრის კალამბუსმა დაამთავრეს უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები კომედიისათვის „მარტოდმარტო სახლში". ამ ფილმისათვის რეჟისორმა 15 მილიონი დოლარი შეაგროვა — ჰოლივუდისათვის უმნიშვნელო თანხა. ამიტომ მთავარი როლის შემსრულებლის ძებნა დაიწყეს ბროდვეის მსახიობ ბავშვებს შორის, რადგან ისინი განებივრებულნი არ იყვნენ დიდი ანაზღაურებით. ორასი ბავშვის გასინჯვის შემდეგ, რეჟისორებმა ბოლოსდაბოლოს არჩევანი ყველაზე სიმპათიურ და მხიარულ მაკოლეი კალკინზე შეაჩერა.

პატარა მსახიობს გადაღებისას შეეძლო 5-6 საათი შეუსვენებლივ ემუშავა, უსიტყვოდ და ზუსტად შეესრულებინა რეჟისორის ყველა მითითება.

„მარტოდმარტო სახლში" ამერიკის ეკრანებზე 1991 წელს გამოვიდა. პირველი სამი თვის განმავლობაში ფილმის გაქირავებამ „XX საუკუნე—ფოქსს" 150 მილიონი დოლარი მოუტანა. ასეთი შემოსავალი ჰოლივუდის ისტორიაში არც ერთ კომედიას არ ჰქონია — ტრიუმფის „მთავარ დამნაშავედ" პრესამ და მაყურებელმა ერთსულოვნად ნორჩი მაკოლეი აღიარეს, „გულწრფელი თამაშით კალკინმა საშუალო კომედია სეზონის ჰიტად აქცია". — წერდნენ გაზეთები,

ფილმის გამოსვლის დღეებში მაკოლეი მონდომებით უპასუხებდა ჟურნალისტების შეკითხვებს, პოზიორობდა კამერის წინ და უამრავ თაყვანისმცემლებს ავტოგრაფებს აძლევდა. — დაიბადა კინოვარსკვლავი, დაიწყო „მაკომანია". ყოველთვის წყნარმა და თავშეკავებულმა პრეზიდენტმა ბუშმაც კი წინასაარჩევნო მიტინგზე გაიმეორა კევინის ერთ-ერთი ფრაზა: „ეს ჩემი სახლია და მე მას არავის მივცემ"!

მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მაკოლეი პანსიონატში შეეყვანათ. მილიონერების შვილებისა და შვილიშვილების გვერდით მაკმა თავი „ღარიბ მეფედ" იგრძნო და მოხერხებულმა ბიჭმა საკუთარი ავტოგრაფიანი ფოტოსურათებით დაიწყო ვაჭრობა. ამასთან, თუ მისი თანაკლასელები მოისურვებდნენ მასთან სურათის გადაღებას (რა თქმა უნდა, მსურველი ყველა იყო), ცნობილი კევინ–მაკოლეი მათგან გარკვეულ თანხას იღებდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ამ გზით მან დაახლოებით ათასი დოლარი შეაგროვა და მაშინვე ბანკში შეიტანა.

მილიონ დოლარიანი კონტრაქტი მეორე ფილმზე „ჩემი გოგონა" კალკინმა კომპანია „კოლამბია პიკჩერსს" დაუდო. სცენარის მიხედვით, მაკს შეუხედავი გოგონასათვის უნდა ეკოცნა. ამბობენ, ამ კადრს მთელი დღის განმავლობაში იღებდნენ. როცა გადაღება დასრულდა, მაკი დიდხანს იწმენდდა ტუჩებს და ამბობდა — „რა საშინელებაა ეს კოცნა!"

„ჩემი გოგონა" საკმაოდ მოსაწყენი ფილმი გამოვიდა, მაგრამ კალკინის წყალობით სურათმა თითქმის 100 მილიონი დოლარი შეაგროვა. ასეთი კომერციული წარმატების შემდეგ მაკოლეის შესთავაზეს 5 მილიონი დოლარი ფილმის „მარტოდმარტო სახლში" გაგრძელების გადაღებისათვის. ჰოლივუდის ტრადიციების საწინააღმდეგოდ, გამეორება უკეთესი აღმოჩნდა — ამ ფილმმა 200 მილიონი დოლარი მოიგო.

1993 წელს მაკოლეის 12 წელი შეუსრულდა და კალიფორნიის შტატის კანონებით, უფლება მიიღო, დამოუკიდებლად დაედო კონტრაქტები.

კომერციაში მას ვერავინ შეედრება. „კარგმა შვილმა" მას 6 მილიონი დოლარი მოუტანა, შემდეგმა ფილმმა „მსგავსება მამასთან" — 8 მილიონი დოლარი, ხოლო კომედიისათვის „წიგნის სამყაროს ბატონი" — 10 მილიონი დოლარი მიიღო.

ერთი შეხედვით, „დიდმა ფულმა" ნაკლებად შეცვალა მაკოლეის ცხოვრება, იგი დროის დიდ ნაწილს, ოჯახთან ერთად, კვლავ ვილაში ატარებს, თუმცა მას აქვს არაჩვეულებრივი ბინა ჰოლივუდში. მულტიმილიონერს კვლავ ძველი ჯინსი და ფეხსაცმელი აცვია. სმოკინგს წელიწადში ორჯერ თუ იყენებს — „ოსკარის" და „ემმის" საზეიმო ცერემონიალებზე. იშვიათად ძმებთან ერთად ბეისბოლს თამაშობს და ველოსიპედს აღმა-დაღმა დააქროლებს.

როცა მაკოლეის ლიმუზინი კინოსტუდიას მიუახლოვდება, საყვარელი ბიჭუნას ნაცვლად მანქანიდან სერიოზული ბიზნესმენი გადმოდის... სად დაიკარგა ის გულუბრყვილო ბავშვი, რომელიც გულწრფელად ესალმებოდა გამნათებლებს, გრიმიორებს და ერიდებოდა კოცნას კამერის წინ?

უცხოური პრესის მასალების მიხედვით.

სურათზე: ნორჩი ამერიკელი კინოვარსკვლავი მაკოლეი.

საინტერესოა!

იყიდება, ჯერარშობილი დინოზავრები

ჩინეთში, შავ ბაზარზე, იყიდება იმ დინოზავრების გაქვავებული კვერცხები, ას მილიონ წელიწადზე მეტი ხნის წინათ რომ ცხოვრობდნენ. ტურისტები ხალისით და ფულის დაუზოგავად ყიდულობენ ამ მეზოზოურ რელიქვიებს.

არალეგალური ვაჭრობის ცენტრი გახდა ქალაქი ციუიჩოუ, აღმოსავლეთის პროვინცია ჩჟენძიანიდან. 1970 წელს მეცნიერებმა აქ დინოზავრების ასზე მეტი კვერცხი იპოვეს. ამის შესახებ ხელისუფლებამ იცის. მაგრამ რამდენ ათას კვერცხს მიაგნეს ადგილობრივმა გლეხებმა, ეს ძნელი დასათვლელია. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ნაკრძალად გამოაცხადა ტერიტორია, სადაც დინოზავრები ოდესღაც კვერცხებს დებდნენ და წამოიწყო კამპანია არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ, დინოზავრების კვერცხები სულ უფრო ხშირად გამოდის შავ ბაზარზე.

რეიტერი.

დამღუპველი ნიკოტინი

„ქალები, რომლებიც მამაკაცებივით ეწევიან, მამაკაცებივითვე მოკვდებიან“, — აცხადებს ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც გამოაქვეყნა ვრცელი მოხსენება კაცობრიობის მშვენიერ ნახევარზე ნიკოტინის ზემოქმედების შესახებ.

თამბაქოსადმი მიდრეკილება მსოფლიოში ყოველწლიურად 500 ათასამდე ქალს უსწრაფავს სიცოცხლეს. თუ ქალები უარს არ იტყვიან ამ მანკიერ ჩვევაზე, რომელიც, სხვათა შორის, ლაზათს არ მატებს მათ, უახლოეს ოცდაათ-ორმოც წელიწადში ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება. კიბოთი დაავადების 90 პროცენტს სწორედ თამბაქოს წევა იწვევს. სტატისტიკის თანახმად განვითარებულ ქვეყნებში ეწევა ყველა ქალის 21 პროცენტი, განვითარებადში — რვა პროცენტი.

ასოშიეიტედ პრესი.

ოცი მკვლელობა ხუთ წუთში

„ძალზე ბედნიერები ვართ, რომ შეგვიძლია ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება გამოვაცხადოთ“, — თქვა კაი კულერვო ხალმიარვიმ კოღოების განადგურებაში მსოფლიო ჩემპიონატის შეფ-ორგანიზატორმა.

შეჯიბრება მიმდინარეობდა არქტიკულ ლაპლანდიაში, სადაც ახლა უჩვეულოდ ცხელი ამინდებია. გაიმარჯვა 17 წლის ფინელმა მარი პელიონრაამ, რომელმაც ჩასათვლელი დროის 5 წუთში მოკლა 21 კოღო, მას რომ შიშველ მკლავებზე, მკერდზე და ფეხებზე დააჯდნენ. ამ საერთაშორისო შეჯიბრების დანარჩენ ოც მონაწილეს ასე არ გაუღიმა ბედმა მფრინავ სისხლისმსმელებთან ბრძოლაში.

ასოშიეიტედ პრესი.

ორიათას რომელიღაც წელს...

„ჟიგულის“ მარკის ავტომობილების ფასი კვლავ გაიზარდა. ტოლიატის ქარხნის მიერ გამოშვებული მოდელებიდან ყველაზე იაფი „ჟიგული-11053“ 32 მილიონი რუბლი ღირება, ყველაზე პრესტიჟული და ძვირი „09“ — 52 მილიონი.

რამდენ წელიწადში შეაგროვებს ამ თანხას საშუალო ხელფასის მქონე საქართველოს მოქალაქე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რედაქციაში არავინ აღმოჩნდა ჩვენი მათემატიკური მომზადების არასაკმარისი დონისა გამო.

მაინც ვვარაუდობთ, რომ [illegible] ათასწლეულის დასაწყისში შეისხამს ფრთებს. შეიძლება იმ დროისათვის ეს ისეთი წვრილმანია, რომელსაც საერთო პერსპექტივისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

იმდენს გატირებს სოფელი, რამდენიც გაგიცინია...

ქუთაისი ქუთათურებითურთ — განუმეორებელი კოლორიტით, თავისი ხიბლით, იუმორით — ჩემთვის უძვირფასესია, რადგან 18 წლამდე ამ ქალაქის მკვიდრი გახლდით. კარგა ხანია თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რომ ნაღდი ქუთაისელი ვარ — რიონის წყალში, პირველ ვაჟთა სკოლაში, თეთრ ხიდთან ტანვარჯიშულ დარბაზში, ბაღის კიდესთან გაზრდილი კაცი. დრო გადის, სიჭაბუკის წლები კი თითქოს უფრო ახლობელი ხდება და არაერთ შემთხვევას, ანეკდოტს, ამბავს შემახსენებს. ეს ზოგჯერ სევდიანი, ზოგჯერ ხალისიანი ამბებიც მოგონებათა სკივრში ახლახან ამოტივტივებულია და, ქაღალდზე გადმოტანილი, ვფიქრობ, ბევრ ჩემნაირ ქუთაისელს, და არა მარტო მათ, კეთილ მოგონებას, ლამაზ წარსულს და თვით ჩვენი უძველესი ქალაქის განუმეორებელ ხიბლს შეახსენებს.

რა თქმა უნდა, ეს მინიატურა-მოგონებანი ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მახსოვს, ან გამიგონია და ვერ ვიგონებ. თუ მშვიდობა იქნება, ღვთის მადლით, და კვლავ მომივა მუზა, მომავალშიც შემოგთავაზებთ, ძვირფასო მკითხველებო, ამგვარ ამბებს. მაგრამ, ვფიქრობ, სხვებსაც, ყოფილ თუ ნამდვილ ქუთაისელს, გექნებათ არანაკლები და, შესაძლოა, უფრო „ნოყიერი“ მოგონებანი, რომლებსაც, თუ გამოგვიგზავნით, უეჭველად დავბეჭდავთ.

ჩვენი ქუთაისი ხომ მალე იზეიმებს სატახტო ქალაქად გამოცხადების 1000 წლისთავს!

მკითხველებისადმი უღრმესი პატივისცემით

ანზორ ბასილაია

ავთო ალშაიძე

იყო ასეთი კოლორიტული ტანმოვარჯიშე 50-60-ნი წლების ქუთაისში, პირველი ქუთაისელი სპორტის ოსტატი, ერთთავად „ნაკოლკებით“ „ტანაჭრელებული“, მკვრივი და მკვირცხლი, ზუსტად ტანვარჯიშისთვის დაბადებული. მეჯიბრებაზე (მხოლოდ კავშირის მასშტაბით) მკლავებიანი მაისურით უშვებდნენ, რადგან მოსვირინგებული საბჭოთა სპორტსმენი ერთობ საჩოთიროდ მიაჩნდათ ხელმძღვანელებს. და ეს კაცი — ტანვარჯიშში ნამდვილად გამორჩეული და, განსაკუთრებით, ღერძზე ვარჯიშის ვირტუოზი — იარაღთან მისვლის წინ ყოველთვის ხმამაღლა ეუბნებოდა საკუთარ თავს:

— За Родину, за Сталина!

იაშა თავდიდიშვილი

მთელი 4 წელიწადი ფრონტზე იბრძოდა. ქუთაისში დაბრუნებული, კვლავ სპორტის საყვარელ სახეობას — ტანვარჯიშს დაუბრუნდა. რამდენიმე ჭრილობის მიუხედავად, თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, ქალაქის პირველობაზეც გამოვიდა, მაგრამ შეჯიბრების დროს ჭრილობა გაეხსნა და...

სპორტს, ტანვარჯიშს მაინც არ მოეშვა — მწვრთნელი გახდა, ჭკვიანი, მონდომებული, დაუზარელი მწვრთნელი. მრავალი სპორტსმენი აღზარდა, განსაკუთრებით გოგონები, რომლებიც არაერთხელ გამხდარან საქართველოს ჩემპიონები, პრიზიორები. ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, კეთილი სახელის მეტი არაფერი დარჩენია.

ვანო ვაშაკიძე

ვაჟთა პირველი სკოლის დირექტორი რუსულსაც გვასწავლიდა. ერთთავად დისციპლინაზე უყვარდა ჩვენთან საუბარი.

— მე და ისაკი (ი. ბალანჩივაძე ქალაქის განყოფილების გამგე გახლდათ, ჩვენს სკოლაში დირექტორის მოადგილეც იყო) ხშირად დავსხდებით ხოლმე და თქვენს შესახებ ვსაუბრობთ, — მრავლისმეტყველად გვეუბნებოდა, — გადავწყვიტეთ, რუსული ენის გაკვეთილები ჩავაუქმოთ და დისციპლინის გაკვეთილი შემოვიღოთ, — გვამცნებდა.

ნეტავ რას იტყოდა ბატონი ვანო, ჩვენი პარლამენტის ზოგიერთი სხდომის ტელერეპორტაჟი რომ ენახა?

მიშკა დობრი

თბილისის მე-8 სკოლის (მე-11 კლასში აქეთ გადმომიყვანეს) დირექტორს ამ სახელით იცნობდა ყველა მოსწავლე თუ მშობელი. მას ხშირად უყვარდა ერთგვარი რეიდების მოწყობა და მოულოდნელი თავდასხმები გაკვეთილების გამცდენების გამოვლენის მიზნით. ერთ ასეთ რეიდზე გამოსულს, სკოლის ეზოში ბავშვებმა თვალი მოკრეს დირექტორს.

— ატანდა, მიშკა დობრი! — იყვირა ვიღაცამ და ბავშვებიც სწრაფად მიმოიფანტნენ. ერთმა, ჩემსავით ქუთაისიდან გადმოსულმა მოსწავლემ, ჩამალავი ვერ ნახა და სანაგვე ყუთში ჩაძვრა (მაშინ ხის უზარმაზარი ყუთი იდგა სკოლის ეზოში).

ჩანს, დირექტორს არ გამოპარვია ონავრის ეს მანევრი, პირდაპირ მიადგა ყუთს, ახადა თავი და ჩასძახა:

— სინაურიძე, ნაგავი ხარ და იყავი ნაგავში!

(გვარი, რა თქმა უნდა, შეცვლილია).

ამას თვითონ მიგიხვდება ჩემი ქუთაისი...

აკაკი მამალაძე

ომისა და ომისშემდგომ პერიოდში ქუთაისის მილიციის უფროსი გახლდათ ნაღდი კომუნისტი, მტკიცე ჩეკისტი აკაკი მამალაძე. ბუნებით ძალიან კეთილი, სამსახურში ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო. მისი ხელმძღვანელობით მრავალი ოპერაცია ჩატარდა ბანდიტების, ქურდების თუ სპეკულანტების გამოსავლენად.

ერთხელ, შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრთან აკაკი კარანაძესთან ერთად რეიდი ჩაუტარებიათ მაიაკოვსკის ქუჩის შემოგარენში. ამ უბანში, სინაგოგასთან, ყოველთვის იყო გაჩალებული ალებ-მიცემობა, ფარული თუ აშკარა ვაჭრობა.

ჩანს, ამ ხალხსაც ჰყავდათ თავიანთი მზვერავები — უფროსების გამოჩენისთანავე თითქმის ყველა ვაჭარი მიმალულა. მხოლოდ ერთს, მჟავე კიტრებს გობით რომ ჰყიდდა, ვერაფერი შეეტყო და მორეიდეებიც თავს წაადგნენ.

— ვისია ეს გობი? —ჰკითხა მილიციის უფროსმა.

— რა ვიცი, ვისია, მოუკვდა პატრონი! —ზურგი შეაქცია გობს „ბიზნესმენმა“.

• • •

მილიციის განყოფილებას შეატყობინეს, რომ ერთ-ერთ ვაჭარს მოსკოვიდან უნდა ჩამოეტანა დეფიციტური მანუფაქტურა. გვარიც გაიგეს, სახელიც, რა და როგორ ჩამოჰქონდა, ჩამოსვლის დროც და შესაფერისი „შეხვედრაც“ მოუწყეს.

ჩამოსულს პირდაპირ გაუხსნეს პალტოს ღილები, ტანზე შემოხვეული ქსოვილის ბოლოში ხელი ჰკიდეს და მოქაჩეს. ჩამოსული ხელებაწეული ტრიალებდა და ჰყვიროდა:

— ვაიმე, ვაიმე, მამიწყვეს, მამიწყვეს, — ვინ შემომახვია ტანზე ეს ნაჭერი?!

• • •

მილიციის განყოფილებაში ერთი ენაბლუ თანამშრომელი ჰყოლიათ. ერთხელ ეს მილიციელი უფროსთან დაფეთებული შემოვარდნილა.

— ამხ.... ამხ... ამხ... — ვერ აბამდა ენას აღელვებული.

— იმღერე, იმღერე, — შეეშველნენ უფროსთან მსხდომნი.

— ამხანაგო უფროსო, სახლი გეწვებათ! — სიმღერით მოახსენა უფროსს.

წარმოიდგინეთ, რა სასიამოვნო იყო უფროსისთვის ამ მელოდიის მოსმენა!

გოდერძი

აკაკიევიჩი, გოდერძი ჩემი მეგობარია. ქუთაისშიც ერთად ვსწავლობდით, თბილისში მე-8 სკოლაც ერთად დავამთავრეთ. დედაქალაქში მარტო ცხოვრობდა, მშობლები კი ქუთაისში (ხანაც ტყიბულში) იყვნენ.

ბუნებრივია, ქუთაისში ხშირად მოგზაურობდა, ყოველთვის საქმით დაკავებული მოუცლელი მეზობლები (მაიაკოვსკის ქუჩაზე, სინაგოგის წინ ჰქონდათ ბინა მამალაძეებს) გოდერძის ასე ხვდებოდნენ ხოლმე:

— გამარჯობა ბიჭო, გოდე, ხომ ხარ მომჯობინებული? როდის ჩამოდი, როდის მიდიხარ? კარგად იყავი.

პასუხების მოსასმენად ვის ეცალა.

• • •

გოდერძი მიყვება:

— გამიჭირდა, მეზობელს დილაადრიან მივადექი, დავუკაკუნე და ვკითხე:

— ისაკ, გძინავს?

— არ მძინავს, არა!

— ერთი ათი მანეთი მასესხე.

— თავი დამანებე, მძინავს, მძინავს...

დარტყმა, კიდევ დარტყმა...

60-იანი წლების ქუთაისში მხოლოდ მუშტის ძალით თუ არკვევდნენ მწვავე ურთიერთობებს. ქალაქს ჰყავდა რამდენიმე ცნობილი „დამრტყმელი“ (გვარებს არ ჩამოვთვლი). ერთი ასეთი კონფლიქტის შემდეგ გალახული ამაყად გვეუბნებოდა:

— დედლურად დამარტყა, ვაჟკაცურად წავიქეცი!

• • •

ბაღის კიდესთან სცემეს ერთ აბეზარ, უკვე ჭარმაგ კაცს. ისიც უმალ გაიქცა სახლში და თავის ვაჟს შესჩივლა, მცემესო.

— წამოდი ახლავე, მაჩვენე, ეს ვინ გაგიბედაო.

როცა მამამ მიუთითა, შვილმა მრისხანედ იკითხა:

— შენ გაარტყი მამაჩემს?

— რა იყო, თუ გინდა, კიდევ გავარტყამო, — უპასუხეს.

— მიდი, კიდევ გაარტყი, თუ ბიჭი ხარო — არ შეეპუა შვილი.

საწყალ მამას კიდევ და კიდევ უთავაზეს. შვილი კი მას მიუბრუნდა:

— რას დადიხარ ქუჩა-ქუჩა, ვერ დაეტევი სახლში?

(გაგრძელება იქნება)

მასპინძელთა სრული უპირატესობით

2 აგვისტოს სტარტი აიღო საქართველოს მეშვიდე ეროვნულმა ჩემპიონატმა ფეხბურთში. ამ დღეს გაიმართა ხუთი მატჩი და წარმატებას ხუთივეში მასპინძლებმა მიაღწიეს.

ბათუმის „დინამომ“ რომელსაც 10 აგვისტოს ევროპულ ტურნირზე დებიუტი აქვს იუგოსლავიაში „ობილიჩთან“, თავის მოედანზე დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხა ლანჩხუთის „გურია“, თბილისის „შევარდენი—1906“ მატჩის 75-ე წუთამდე რუსთავში უგებდა ადგილობრივ „მეტალურგს“ — 2:0, მაგრამ დარჩენილ დროში 3 უპასუხო გოლი გაუშვა და საბოლოოდ დამარცხდა — 2:3. სხვა თამაშები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ზუგდიდი) — „კახეთი“ (თელავი) 2:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0, „დილა“ (გორი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 4:2.

I ტურის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა 3 აგვისტოს — ფოთის „კოლხეთი“ მასპინძლობდა ყვარლის „დურუჯს“ და დაამარცხა იგი დიდი ანგარიშით 4:0.

როგორც ხედავთ, I ტურის მატჩები გამოტოვეს თბილისის „დინამომ“ და „სამტრედიამ“, რომლებიც უეფას თასზე ასპარეზობისათვის ემზადებიან.

ნახევარფინალში ითამაშებენ

გაიმართა „ინტერტოტოს“ გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები და გაირკვა ის ოთხი გუნდი, რომლებიც შემდგომ ეტაპზე გააგრძელებენ ბრძოლას. გარდა ამისა, ეს ოთხი გუნდი მონაწილეობას მიიღებს უეფას თასის გათამაშებაშიც. მეოთხედფინალში „ბორდომ“ იოლად დაამარცხა „ჰერენვეენი“ — 2:0 და ნახევარფინალში შეხვდება „კარლსრუეს“, რომელმაც მხოლოდ პენალტების სერიით შეძლო თურქეთის „ბურსასპორის“ დამარცხება. ფრანგული კლუბების დუელი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ „მეცი“ და „სტრასბური“, ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა — 2:0 და ნახევარფინალში მისი მეტოქე იქნება ავსტრიის „ტიროლი“.

აგვისტოს მაგნიტური დღეები

აგვისტოში მაგნიტური დღეები და კრიტიკული საათები მოსალოდნელია: 8 აგვისტოს, სამშაბათს, (10.00-11.00), 9 აგვისტოს, ოთხშაბათს (18.00—20.00), 13 აგვისტოს, კვირას (19.00-20.00), 20 აგვისტოს, კვირას (18.00-19.00), 28 აგვისტოს, ორშაბათს (19.00-20.00), 30 აგვისტოს, ოთხშაბათს. (18.00-19.00).

ერთად უნდა ვებრძოლოთ

რა უფლება გვაქვს მიცვალებულს ამოდენა ცოდვა ავკიდოთ?

- ვინ იყო ზაალ რამიშვილი?
- რისთვის დააკავეს?— ხაბეიშვილის მკვლელობას აბრალებდნენ?
- მართლა გადმოაგდეს თუ გადმოხტა?
- ჭორი — პოლიტიკური იარაღი

19 ივლისს, დღის 11 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში მეხივით გავარდა ცნობა: ორგანიზებული დამნაშავეობის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის თანამშრომლებს მეექვსე სართულიდან კაცი გადმოუხტათო.

სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ შესასვლელთან ამ დროს ზღვა ხალხია — აქაურები, მომსვლელ-მიმსვლელი მოქალაქეები; ისე რომ, ათეულობით ადამიანმა საკუთარი თვალით იხილა ოცდაათამდე მეტრის სიმაღლიდან მოწყვეტილი კაცი. ის ფეხებით დაეცა და რაღაც მომენტში წამოხტომაც მოასწრო. სრულ გონზე იყო, 3-4 საათს იცოცხლა, მაგრამ გადარჩენის ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა: იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მაშინვე ათასი ჭორი გავრცელდა: „ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მას ბრალს სდებდნენ (ანდა, სურდათ მიეწერათ) ხაბეიშვილის მკვლელობის თანამონაწილეობა“; „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი თავს არ მოიკლავდა, იგი ცემის დროს შემოაკვდათ. თვითმკვლელობა თავის გასამართლებლად მოიგონეს“; „ზაალი ფსიქიკურად ჯანმრთელი იყო... არც ერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა აზრად, გადახტეს მეექვსე სართულიდან იმ მიზნით რომ გაიქცეს“, —წერდნენ გაზეთები. ზოგიერთმა მიცვალებული სამართლის მსხვერპლად მიიჩნია.

არ ვეკამათები კოლეგებს, წერონ, როგორც გაუხარდებათ, ერთს კი ვიტყოდი: არჩევნების წინ, სამართალდამცავი ორგანოების დისკრედიტაციის არაერთი მცდელობა კარგად გაგორებული კოჭია და ყველამ იცის, ვინ ვისთვის იღვწის.

მაშ ასე: ვინ იყო ზაალ რამიშვილი? რისთვის დააკავეს? მართლა მოკლეს ცემით და გადმოაგდეს, თუ გადმოხტა?

თანმიმდევრულად ჩავუღრმავდეთ და მივყვეთ დეტალებს;

დახედეთ ზედა ფოტოსურათს, აქედან, ამ ფანჯრიდან (ეს ტუალეტის სარკმელია) ისე ჩანს, და თავდაპირველად მეც ისე მომეჩვენა, რომ, თუ აქედან გადავხტებოდი, არაფერი მომივიდოდა. რეალობა კი სრულიად საპირისპიროა: აქედან ოდნავ მარჯვნივ, სამინისტროში შესასვლელის თაღი-ფლიგელი ადმინისტრაციული კორპუსის დაახლოებით მესამე სართულის დონეზეა, მარცხნივ სასადილოა, რომელიც თაღზე 2-3 მეტრით მაღალია. თუ ფანჯრიდან ნახევარი მეტრის მოშორებით დადგები, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნება, რომ სასადილოსა და თაღის სახურავები ძირითადი კორპუსის კედელს ეკვრის. ეს „ოპტიკური მცდარობაა“. ფაქტობრივად მათ შორის 8-10 მეტრია დაცილება. დასაშვებია, რომ ტუალეტის ოთახში ყოფნისას მიიღო ზაალ რამიშვილმა გადახტომის გადაწყვეტილება: თვალმა მოატყუა, რადგან აქედან, სწორედ, ისე ჩანს, ზემოთ რომ მოგახსენეთ.



გადაწყვიტა და გადახტა. მაგრამ იყო კი ასე? ეს მხოლოდ ვარაუდია.

სად იყო ამ დროს პოლიციელი, რომელიც დაპატიმრებულს აცილებდა? რატომ არ შეუშალა ხელი ტრაგიკული გადაწყვეტილების განხორციელებას?

დაპატიმრებულმა პოლიციელი მოიცილა, იმდენად ძლიერად ჰკრა ხელი, ზედრიგი დაეცაო, მითხრეს.

ამასაც დამტკიცება სჭირდება, მაგრამ რაც უნდა იყოს, ის დანაშაულებრივი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობაა.

რატომ ჰყავდათ რამიშვილი სამინისტროს შენობაში? გენერალური ინსპექციისადმი მიცემულ ჩვენებაში წინასწარი გამოძიების იზოლატორის უფროსმა შამილ ბრეგვაძემ დაადასტურა, რომ წინასწარი გამოძიების იზოლატორში ადგილი არ იყო და ამიტომ ეჭვმიტანილი სამუშაო კაბინეტში ჰყავდათ 36 საათის განმავლობაში. ვინ მისცათ ამის უფლება?

ესეც დასადგენია.

ამრიგად, კითხვას — გადმოხტა თუ გადმოაგდეს? —საგამოძიებო ორგანოები, კერძოდ, თბილისის კრწანისის რაიონის პროკურატურა გასცემს პასუხს. ჩვენ აქ მხოლოდ ერთი, რეალობასთან ახლოს მდგომი ვერსია შემოგთავაზეთ. მეტი არაფერი.

მეორე კითხვა: ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი ზაალ რამიშვილის დაკავებას სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობასთან?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ და თქვენც გაგარკვიოთ საქმის არსში, ზაალ რამიშვილის დაკავების ჭეშმარიტ მიზეზებზე უნდა ვისაუბროთ.

მოკლე ისტორია: დანაშაულის ჩადენის გამო ერთწლიანი ძებნის შემდეგ, წლეულს, 5 ივლისს, მოქალაქე ზაზა გოგიჩაიშვილი დააკავეს. მას, შარშან, ნაძალადევში, მერვე საშუალო სკოლის შენობაში ყოფილი თანაკლასელის ზაზა ალთუნაშვილის მკვლელობა ედებოდა ბრალად. წინასწარი გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ „ჰაუპაუერის“ სისტემის პისტოლეტი, რომლითაც მკვლელობა მოხდა, გოგიჩაიშვილმა თავის ნათლულს — ზაალ რამიშვილს მიაბარა, ზაალთან ინახებოდა მისი ნათლიის მეორე — „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიც. კანონის შესაბამისად, გაჩხრიკეს რამიშვილის ბინა, მაგრამ ცეცხლსასროლ იარაღს ვერ მიაგნეს. თავად რამიშვილი იმალებოდა. ამასობაში, (გესმით, — რატომ?) თბილისის პროკურორმა მისი დაპატიმრების სანქციაც გასცა; ხელმეორედ გაჩხრიკეს ბინა, მაგრამ მხოლოდ ხელყუმბარას მიაკვლიეს, სად იყო პისტოლეტები? რამიშვილი აცხადებდა, რომ ისინი თავის მამას — ალეკო რამიშვილს მიანდო და დაჟინებით თხოვდა ახლობლებს იარაღის სამინისტროში მოტანას, მაგრამ...

— სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობაში რამიშვილის თანამონაწილეობის ვერსია აზრადაც არ მოგვსვლია, —აცხადებენ დეპარტამენტის ხელმძღვანელები, კერძოდ, რეზო ფოჩხუა, დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, ვის თანამშრომელსაც გადმოუხტა დაპატიმრებული.

ასეთი ინფორმაცია ზესაიდუმლო ხასიათისაა და, ამდენად, სიმართლეც ერთობ ძნელი მისაკვლევია.

თუმცა, ყოველივე ეს მედლის მეორე, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი მხარეა. ფაქტია, გოგიჩაიშვილს კაცის მოკვლაში ედება ბრალი, იმაშიც, რომ იარაღი რამიშვილს მიაბარა. ორივე, აქ დასახელებული პიროვნება, როგორც ამბობენ, საკმაოდ საეჭვო წარსულის მქონეა. ასე რომ, რა გასაკვირია, თუ წინასწარი გამოძიების პროცესში, დავუშვით, სოლიკო ხაბეიშვილის (ან სხვა ვინმეს) მკვლელობის ვერსიაც წამოიჭრება. ეს ჩემი აზრია და არც არის ჩემი, რადგან მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყნის სამართალ-დამცავი ორგანოები დაშვება-გამორიცხვის მეთოდით მუშაობენ.

ამრიგად, კითხვასაც — იყო თუ არა რამიშვილი ხაბეიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი? — საბოლოოდ უნდა უპასუხონ კვლავ საგამოძიებო ორგანოებმა, რაც მთავარია, — სასამართლომ, რომელიც, იმედია, ოდესმე მაინც გამოუტანს განაჩენს ამ ამაზრზენი მკვლელობის შემკვეთსაც და შემსრულებელსაც.

მანამდე რა უფლება გვაქვს მიცვალებულს ამოდენა ცოდვა ავკიდოთ?

საინტერესოა, რომ ეს ჭორი რამიშვილის დაღუპვის შემდეგ გავრცელდა. სწორედ, დაღუპვის შემდეგ აქციეს ის ხაბეიშვილის მკვლელად.

უეჭველია, არჩევნების წინ, ასეთი ჭორი დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა: პატარა საქმე ხომ არ არის, სახელმწიფო მეთაურის უახლოესი მეგობრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს, შემდეგ მოკლეს და დღისით-მზისით შინაგან საქმეთა სამინისტროს მეექვსე სართულიდან გადმოაგდეს... ულოგიკო ლოგიკა. მეჭორემ გამოაცხო ჭორი და ბომბი გასკდა. ვნახოთ, ვინ აკრეფს ნამსხვრევებს!...

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

გივი მეგრელიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი **გივი ამბერკის ძე მეგრელიშვილი.** პრეზიდიუმის აპარატის შეწყალების განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობის მთელი 20 წლის მანძილზე — იგი თავდადებით და უმწიკვლოდ ემსახურებოდა მინდობილ საქმეს.

ჩვენ, მის ყოფილ თანამშრომლებს, არასდროს დაგვავიწყდება ბატონი გივის მუდამ ღიმილიანი სახე, კეთილმოსურნეობა. ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა, ოპტიმიზმის, კაცთმოყვარეობის, სიყვარულის ატმოსფეროს ქმნიდა, მასთან ურთიერთობა ყოველთვის სიხარულს გვანიჭებდა, მუდამ მზად იყო დახმარების ხელი გაეწვდინა მოყვასისათვის, წავიდა ჩვენგან კაცური კაცი, ახლობლებსა და მეგობრებს კი დაუტოვა ტკივილიანი განცდა იმისა, რომ კიდევ ერთი კეთილშობილი, სიკეთით აღსავსე, საყვარელი ადამიანი გამოაკლდა ამ წუთისოფელს.

მეგობრები.

გახსენება

რეზო სეფიაშვილი

მისი წასვლით დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ, კინოხელოვნებამ, სპორტმა და ტელევიზიამ, რომელთაც **რეზო ფილხაზის ძე სეფიაშვილმა** არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაუფინანსა — იგი რესპუბლიკის სოლიდური და პრესტიჟული ფირმის „მანსი კბს“-ის გენერალური დირექტორი იყო.

დიდია მისი დამსახურება უცხოეთიდან შემოტანილი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საწარმოების ამოქმედებასა და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანის საქმეში. რეზოს, 38 წლის კაცის მეცენატური მოღვაწეობა და უანგარო ქველმოქმედება არ დარჩენილა რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მთავრობის ყურადღების მიღმა.

მომღიმარი, ოპტიმისტი, მიზანსწრაფული, ჭეშმარიტი მეგობრობის ხიბლს ზიარებული, — ასეთი იყო რეზო.

სენაკში დაიბადა, მრავალშვილიან ოჯახში. რვა და-ძმაში ნაბოლარა იყო. ოჯახიდან გამოყოლილ სითბოსა და სიყვარულს მთელი ცხოვრება უშურველად უნაწილებდა ყველას.

ქართველი ებრაელი! — არის ამ სიტყვაში რაღაც ძალიან ამაღელვებელი, მშობლიური. რეზო სეფიაშვილი ქართველი ებრაელი იყო, ქართული ეროვნული ღირსების მქონე, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, მისი მომავლისთვის მლოცველი.

მძიმე სენით დაავადებული სამკურნალოდ ისრაელს გაემგზავრა. იქ გარდაიცვალა. ისრაელის მიწამ მიიბარა. დედა, მეუღლე და ორი გოგონა ამიერიდან მის საფლავს არ მოსცილდებიან. მაგრამ აქ დარჩნენ მისი და-ძმანი, ნათესავები, მეგობრები, მთელი საქართველო, ასე ძალიან რომ უყვარდა რეზოს.

ახლახან, გარდაცვალების წლისთავზე, რეზოს მეგობრებმა და ახლობლებმა მისი საფლავი საქართველოდან ჩატანილი 38 შავი ვარდით შეამკეს და საფლავს ქართული მიწა მიაყარეს.

და-ძმანი, ნათესავები, მეგობრები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივანე (ბიძიკო) შალვას ძე ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და თეორიული ფიზიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, პროფესორი

ივანე (ბიძიკო) ვაშაკიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სომხეთის რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, სომხეთის რესპუბლიკის საელჩომ საქართველოს რესპუბლიკაში ღრმა მწუხარებით გაიზიარეს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილის

ვახტანგ ვლადიმერის ძე სალიბეგაშვილის

გარდაცვალება და თანაგრძნობას უცხადებენ მის ნათესავებსა და ახლობლებს.

თბილისის № 5 საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გია ანზორის ძე მანწკავა

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

კავშირგაბმულობის სამინისტროს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე

ვახტანგ ვლადიმერის ძე სალიბეგაშვილი

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს შოთა დალაქიშვილს დედის

მარიამ ალექსანდრეს ასულ დალაქიშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
აცხადებს მიღებას 1995-96 სასწ. წლისათვის
შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამედიცინო ფაკულტეტი
ექიმი სტომატოლოგი
2. მედიკო ბიოლოგიური
ექიმი ციტოლოგი; ექიმი ბიოქიმიკოსი
3. სამედიცინო აპარატურის ფაკულტეტი
ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურის სისტემები
4. იურიდიული ფაკულტეტი
სამართალმცოდნეობა
5. ეკონომიკის ფაკულტეტი
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა
6. უცხო ენების ფაკულტეტი
სამეცნიერო-ტექნიკური თარგმნა და საინჟინრო ექსპერტიზა (ინგლისური, გერმანული)
7. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი
ტელე-რადიო ჟურნალისტი
8. კავშირგაბმულობის ფაკულტეტი
ელექტრონული ფოსტა, ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა.

აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების საფუძველზე.
სწავლა ფასიანია.
საბუთების მიღება წარმოებს
10-დან 16 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

მისამართი:
თბილისი, ბევრეთის ქ. №8, მეტრო „300 არაგველი“
კრწანისის მოედანი „ბაგრატიონის ძეგლი“,
ავტობუსი: 6,10. სამარშრუტო ტაქსი: 10, 33, 49.
98-78-76, 93-22-88

მორიგე რედაქტორი **ანზორ ბასილაია**

გამომცემელი - შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484 ტელ. 99-73-24
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **არმაზ სანებლიძე**